საერთო გაზეთი

№36 (586) • 11 ნოემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

საკაშვილის ტუტუცები

პოლიტიკურ პარტიებს კი არა ესენი ტერორისტულ დაჯგუფებებს ჰგვანან, რომლებსაც შანტაჟის და პროვოკაციის გზით მთელი ქვეყნის მძევლად აყვანა განუზრახავთ

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს – დაუყოვნებლივ აღძარით საქმე თემურ ალასანიას, ამ საერთაშორისო მასშტაბის „რაზბოინიკის“ და მისი ადგილობრივი „პადელნიკების“ წინააღმდეგ!

ლუკა კურტანიძე:

ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და დაიცვას იმ მილიონი ადამიანის ხმა, ვინც მას ნდობა გამოუცხადა

ნინო ბურჯანაძემ აღარ გაბედოს 26 მაისის და „სახალხო კრების“ ხსენება

ბესო მიქავა:

„ნაცმოძრაობამ“ თითქმის ყველაფერი გაყიდა და გაასხვისა. რა გაყიდა, რა გაასხვისა, რა დაკარგა ბიძინა ივანიშვილმა, იქნებ მითხრას ვინმემ?!

კოჰაბიტაციის, ამ უკანონო კავშირის შედეგად, ჩაისახა ახალი ორგანიზმი, რომლის დაბადება და გაჩენა ვერ ხერხდება და საკეისრო კვეთაა საჭირო

თამარ კიკნაძე:

ყარაბაღის ომი - ნაღმი, რომელზეც შეიძლება მთელი რეგიონი აფეთქდეს!

სომხეთი ამ ხელშეკრულებით თმობს ტერიტორიებს ყარაბაღის გარშემო სრულად. ეს სომხური მხარის კაპიტულაციაა

ღია წერილით ირმა ინაშვილს

2003 წლის ნოემბერი – 17 წლის წინათ, ზუსტად ისე, როგორც დღეს

საქართველოს საზღვრების გასწვრივ ქართული სასაზღვრო სოფლები უნდა ავაშენოთ

„მძინარე ჯოს“ მრისხანე გამოღვიძება

მიშა ჩამოალაბორანტეს – „ნაცმოძრაობას“ ახალი ლიდერი ჰყავს – ნიკანორ მელია!

არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან საქართველოა!

ცესკოს შენობის შტურმით ასაღებად გამზადებულ ოპოზიციას და მის მხარდამჭერებს წყალი როგორ მიასხურეთ ამ სიცივეში? რომ გაცივდნენ ამ პანდემიის დროს, მერე რით გაიმართლებთ თავსო? — საყვედურობენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ნაციონალების სატელიტი არასამთავრობოები, ნაციონალების ჯიბის ტელევიზიები, ნაციონალების სახალხო დამცველი და მისი აპარატის წარმომადგენლები.

ესენი ქართული სახელმწიფოს დანგრევას აპირებენ და წყალიც არ მივასხუროთ, რომ ცოტა აზრზე მოვიდნენ და გონს მოეგონ?

კარგია, ოპოზიციის და მისი მხარდამჭერების ჯანმრთელობაზე ასე რომ ზრუნავთ, მაგრამ, რატომ არავინ ლაპარაკობს და რატომ არავინ ფიქრობს იმ მილიონ ადამიანს პლუს კიდევ მილიონ ადამიანზე, რომელიც აღშფოთებული და გაოგნებული უყურებს ამ მასკარადს, სახელწოდებით „არჩევნები მოგვპარეს“, რომლის მთავარი მიზანი ნაციონალი რევანშისტების მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების და სახელმწიფოს მიტაცების მცდელობაა.

ამ ავანტურისტებს და პროვოკატორებს რომ იცავთ, ვინ დაიცავს ამ ორ მილიონ ადამიანს მოძალადეებისგან, ქვეყნის ამრევებისგან, შფოთის და არეულობის შემომტანი ბოროტი ძალების პარპაშისგან?

17 წელია ამ კრიმინალების, მკვლელების, ხაზინის ქურდების, სამშობლოს გამყიდველების ყაჩაღების და გამომძალველების გამო მშვიდობა და ნორმალური ცხოვრება არ ეღირსა ქართველ ხალხს, რომელსაც ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი, რომელიც უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მოთმინების ძაფი გაუწყდეს და თვითონ გამოვიდეს ქუჩაში საკუთარი ღირსების დასაცავად.

ნუ მივიყვანთ საქმეს აქამდე — დავარქვათ ყველაფერს თავისი სამდვილი სახელი, დავიცვათ საქართველო შინაური დამპყრობლებისგან — ნაციონალური ბანდისგან და მას მიტმასნილი სხვა წვრილ-წვრილი ბანდებისგან.

არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან საქართველოა!

„საერთო გაზეთი“

მინაწერი:

გრიგოლ ვაშაძის განცხადების შემდეგ, სადაც ის ოპოზიციას მოუწოდებდა შესულიყვნენ პარლამენტში და იქედან გაეგრძელებინათ ბრძოლა სამართლიანობის აღსადგენად. როგორც იტყვიან, გვირაბის ბოლოს იმედის სხივი აკიაფდა, თუმცა ეს სხივი ისევე მოულოდნელად ჩაქრა, როგორც გაჩნდა — სულ მალე გრიგოლ ვაშაძის სახელით გაკეთდა მეორე განცხადება, რომელიც, ფაქტობრივად, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მისი პირველი განცხადების შინაარსს.

არავინ იცის, ეს მეორე განცხადება მართლა ვაშაძეს ეკუთვნის თუ ვინმე სხვას, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილს, ან „ნაცმოძრაობის“ რომელიმე ჯგუფს, რომელიც არ ეთანხმება დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტის იდეას და მიზნის მისაღწევად მდგომარეობის შემდგომი ესკალაციის გზას ირჩევს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოპოზიციაში სიტუაცია აიჭრა და არავინ იცის, ვისი ვიოლონო ვის როიალშია.

ჩვენი აზრით, ჩნდება შანსი, „ნაცმოძრაობას“ ბუმერანგივით უკან შემოუბრუნდეს მის მიერ დაგეგმილი ავანტურა და ეს პროცესები მისი დაშლის და დასასრულის დასაწყისი გახდეს.

ახლა ბევრი რამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პრინციპულობაზე და სიმტკიცეზეა დამოკიდებული.

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

„ს.გ“

მინდია უგრეხელიძე: საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ იგი ნამდვილ დემოკრატიულ მმართველობას ეღირსოს

6 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „დღის ქრონიკა“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სამართალმცოდნე **მინდია უგრეხელიძემ** ისაუბრა. შეაფერხებს თუ არა ოპოზიციის ბოიკოტი დემოკრატიის განვითარებას; რამდენად არიან ის ძალები დემოკრატიის ერთგულნი, რომლებიც პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებენ; რაში ხედავს გამოსავალს ოპოზიციის ბოიკოტის გაგრძელების შემთხვევაში; თუ არა საპარლამენტო ცხოვრება, რა ალტერნატივა აქვს ქვეყანას; ამ და სხვა თემებზე ბატონმა მინდიამ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. გთავაზობთ ფრაგმენტებს სატელევიზიო ინტერვიუდან:

„მოდით, საკითხი ასე დავსვათ: რამდენად არიან ის პარტიები დემოკრატიის ერთგულნი, რომლებიც პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებენ? ერთგულება კარგი სიტყვაა. ვაპირებდი, საუბარი დოგმათა ცილობაზე, კონკურენციაზე, ჭიდილზე დამეწყო. მაგალითად, პოლიტიკური დოგმები პლურალიზმს ითხოვს. ასევე, არსებობს კონსტიტუციური, სამართლებრივი, მორალური დოგმები. ეს დოგმები ერთმანეთს ამაგრებს, ზოგჯერ პირიქით, ეცილება — მე უნდა ვიყო პირველი და მთავარიო. თვისობრივად და რაოდენობრივადაც ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ამ დროს წარმოიშვება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის რასაც ეს ხალხი ითხოვს. ამიტომ მე, აბსოლუტურად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი უნდა შეიცვალოს. ალბათ, კიდეც შეიცვლება. ყველაზე სწორი ცვლილება ასეთი იქნება: ერთი წუთით დავუშვათ, რომ „ნაციონალები“ ბოლომდე თავისი მოსაზრების ერთგული იქნებიან და არაფერს დათმობენ. ეს, დაახლოებით, 40 მანდატი გამოდის. მეორე მხრივ, ავიღოთ ყველა დანარჩენი პარტია, ვინც ბარიერი გადალახა. 40 მანდატი, პროპორციულად, ბარიერგადალახულ პარტიებზე გადავანაწილოთ. იცით, რა საინტერესო პარლამენტს მივიღებთ. სხვათა შორის, ეს, აბსოლუტურად, არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ანუ, ამას კონსტიტუციის შეცვლა არ სჭირდება. თუმცა, რა თქმა უნდა, საარჩევნო კანონის შეცვლა დასჭირდება, რაც ბუნებრივია, უფლებამოსილმა, სათანადო კომპეტენციის პარტიამ უნდა განახორციელოს, სხვაგვარად ეს ვერ მოხდება. თუ ეს განხორციელდა, ჩვენ, იდეალური პარლამენტი გვექნება. გადავხედოთ, რომელ პარტიებზე გადანაწილდება ეს 40 მანდატი. ეს გახლავთ: „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო“, „პატრიოტთა ალიანსი“, „გირჩი“, „ლეიბორისტები“, „მოქალაქეები“. გადანაწილებისას ზოგი 12 მანდატს აიღებს, ზოგი 6-ს და არაჩვეულებრივი, საინტერესო, მრავალპარტიული პარლამენტს მივიღებთ. ეს ექვსი პარტია საკამოდ ძლიერები არიან. მათ გამოცდილებაც აქვთ და იმის ძალაც, რათა შესანიშნავი პოლიტიკური პროცესი წარმართონ. ასე, გაუთავებელი ლაპარაკი შუის გაკრეფის შესახებ, პრაქტიკულად, დასრულდება“.

„როდესაც ქართველი კაცი ამბობს: მე იგივე ვარ მარად და მარად — ეს როგორც მხატვრული გამოთქმა, მეტაფორა ძალიან კარგია. მაგრამ ეს ფრაზა პოლიტიკაში არ არის კარგი. თუ სულ ერთიდაიგივე ხარ, მაშინ რეგვენი ყოფილხარ. ეს არ არის პოლიტიკური ფორმულა, ეს არის მხატვრული მეტაფორა, რომელიც შეიძლება კიდეც გვხიბლავდეს. დარწმუნებული ვარ, რომ არ შეიძლება მათში ეს მზაობა არ არსებობდეს, მით უმეტეს, რომ გონივრული კი არა ეს ზნეობრივი მხარეა — პასუხისმგებელი ხარ შენი ამომრჩევლის წინაშე. შენ ხარ საქართველოს მომავლის წინაშე პასუხისმგებელი. ამაზე დიდი პასუხისმგებლობა, დოგმა რაღა უნდა იყოს“.

„თუ არა პარლამენტში პოლიტიკის შექმნა, მაშინ რა ალტერნატივა აქვს ქვეყანას? — ალტერნატივა რასაც ჩვენ, შეიძლება, სხვა გზა კი არა, არამედ სამარცხვინო მარცხი ვუწოდოთ, არ შეიძლება საქართველოს ისტორიაში დარჩეს. დღეს, საქართველოში ყველაფრის წინასწარ გათვლა, ალბათ, ძნელი იქნება. უნდა აღინიშნოს, ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციური აზროვნება ძალიან ვითარდება. ეს ის შემთხვევა როდია, რაც 30 წლის წინ იყო. არა, ეს გახლავთ სულ სხვა საქართველო, დიდი ნახტომია გაკეთებული. ჩვენ, არაჩვეულებრივი კონსტიტუციონალისტები გვყავს. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა“ გამოსცა წიგნი, რომელშიც 15 კონსტიტუციონალისტი ვარსკვლავი ბევრ რამეზე საუბრობს, მათ შორის, საქართველოში შექმნილ მდგომარეობაზე. წიგნში საუბარია იმ პროცესებზე, მოვლენებზე, რასაც ადგილი ჰქონდა, აქვს და ექნება მომავალში“.

„როცა ვხმარობთ სიტყვა დემოკრატიას, ამას დაკვირვება სჭირდება. ხალხს რომელსაც არ აქვს იურიდიული ან პოლიტიკური განათლება, მათთვის დემოკრატია არის, უბრალოდ, უმრავლესობის მმართველობა. მათთვის დემოკრატიის განმარტება აქ მთავრდება. სინამდვილეში, ასე არ არის. დემოკრატია რომ მარტო ამით მთავრდებოდეს, მაშინ ის ნამდვილი დემოკრატია არ იქნებოდა. დღეს, ჩვენ, უნდა ვილაპარაკოთ კონსტიტუციურ დემოკრატიაზე და დემოკრატიულ კონსტიტუციაზე. ეს ორი ცნება განუყოფელია. რას ნიშნავს ყოველივე? — ეს ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი დემოკრატიული მმართველობა ეს გახლავთ უმრავლესობის მმართველობა უმცირესობის მონაწილეობით, რაც აუცილებლად, მონაცვლეობითი უნდა იყოს. თუ ეს მონაცვლეობითი არ არის და მრავალი წლის განმავლობაში ერთიდაიგივე მეორდება, კარგად მოგეხსენებათ ამან რა მოუტანა ზოგიერთ ქვეყანას. გავიხსენოთ, რა მოხდა, მაგალითად, ეგვიპტეში და რა შეიძლება კიდევ მოხდეს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. საქმე იქეთკენ მიდის, რომ რიგ ქვეყნებს სახელად ჰქვიათ დემოკრატიული, მაგრამ რეალურად, იგი, ისევ ერთმმართველობის პრინციპზე რჩება აგებული. საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, რომ იგი ნამდვილ დემოკრატიულ მმართველობას ეღირსოს რასაც ჰქვია სწორედ, კონსტიტუციური დემოკრატია და არა კონსტიტუციური მონარქია. ამის გამოუყენებლობა დანაშაულია, რასაც ისტორია არასდროს გვაპატიებს. ქართველმა ხალხმა დაიმსახურა ის, რომ მშვიდი, სამართლიანი ცხოვრებით იცხოვროს. დაუკვირდით რა ხდება: თუ გსმენიათ ოდესმე, უცხოელებს ასე მალე ეღიარებინოთ ჩვენი არჩევნების ლეგიტიმურობა?! მე, მსგავსი რამ ჯერ არ მსმენია. პროცესი ჯერ დამთავრებული არ იყო, როდესაც უკვე მთელი მსოფლიო იწონებდა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს“.

მოამზადა
თამარ შველიძემ
555 23 28 24

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

საკაშვილის ტუტუცები

პოლიტიკურ პარტიებს კი არა ესენი ტერორისტულ დაჯგუფებებს ჰგვანან, რომლებსაც შანტაჟის და პროვოკაციის გზით მთელი ქვეყნის მძევლად აყვანა განუზრახავთ

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს – დაუყოვნებლივ აღძარით საქმე თემურ ალასანიას, ამ საერთაშორისო მასშტაბის „რაზბოინიკის“ და მისი ადგილობრივი „პადელნიკების“ წინააღმდეგ!

არჩევნები გაგვიყალბესო, რომ ყვირის ეს თავად ყალბი და ცრუ ოპოზიცია, ძალიან მაინტერესებს „ქართულმა ოცნებამ“ ისე როგორ გააყალბა არჩევნები, რომ ცხრა პარტიიდან რვა ისეთ პარტიას მოაგებინა, რომლებიც მისი ყველაზე რადიკალური ოპონენტები იყვნენ?

გაყალბება თუ უნდოდა „ქართულ ოცნებას“ ისე მაინც გააყალბებდა რომ სამ-ოთხ თავის სატელიტ პარტიას წაუმატებდა ხმებს და ამ რვა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ორგანიზაციის პირისპირ მარტო არ დარჩებოდა.

ორგანიზაციაო კი ვთქვი, მაგრამ პოლიტიკური ორგანიზაცია-მეთქი, არ მითქვამს, რადგან ძნელია პოლიტიკური ორგანიზაციები უწოდო ადამიანთა ჯგუფებებს, რომლებიც ისე იქცევიან, როგორც ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებსაც შანტაჟის და პროვოკაციების გზით მთელი ქვეყნის მძევლად აყვანა განუზრახავთ.

ტერორისტების თავკაცი, ჭკუიდან გადასული მთავარი ტერორისტი, ძალაუფლების ხელში ჩაგდების მანიაკალური სურვილით შეპყრობილი, კიევში უსაფრთხო ადგილას მოკალათებული, ბრძანებებს იძლევა და ესენიც, ეს მონები, ეს ნამდვილი მარიონეტები, ყოველგვარი შეპასუხების გარეშე, უსიტყვოდ ასრულებენ მის ინსტრუქციებს.

ერთმანეთი გძულთ და მაინც ერთად ხართ.

ერთმანეთი გეზიზღებათ და ვითომ ერთმანეთი გიყვართ.

ამას იმიტომ აკეთებთ, რომ ის საბრალო ადამიანები მოატყუოთ, თქვენი გულწრფელობის და კეთილშობილების რომ სჯერათ.

მიზანს რომ მიაღწევთ, პირველი, რასაც გააკეთებთ მათ მიუტრიალდებით და სასტიკად გაუსწორდებით, რომ მომავალში ხმის ამოღება ვერ გაბედონ.

ასე მოიქეცით თქვენ 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ასე მოიქცევით ახლაც.

●

ნაციონალებს ქართველი ხალხი და საქართველო რომ სძულთ, ეს დიდი ხანია ვიცით, მაგრამ დანარჩენ პარტიებსაც ფეხზე თუ ეკიდა ეს ქვეყანა, არ მეგონა.

შვიდი პარტია დგას დღეს „ნაცმოძრაობის“ გვერდით, შვიდი სინდისზე და ნამუსზე ხელაღებული

პარტია, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ „ნაცმოძრაობის“ გვერდით დგომა განაჩენია, ვერდიქტია, საბრალდებო დასკვნაა, რომელიც მათ პოლიტიკურ მომავალს ასამარებს, მაგრამ ამ შვიდი პარტიის გარდა, საქართველოში კიდევ უამრავი პარტიაა, რომლებსაც, რომ ჰკითხო, თითქოს საქართველოზე და ქართველ ხალხზე ამოსდით მზე და მთვარე, მაგრამ ამ უამრავი პარტიიდან არც ერთს, ვიმეორებ, არც ერთს არ ამოუღია ხმა და ობიექტური შეფასებები არ მიუცია იმ უმსგავსობისთვის, რაც დღეს პოლიტიკის სახელით საქართველოში ხდება.

არადა, ჩემი აზრით, სწორედ ისინი კატეგორიულად და გადაჭრით უნდა ამბობდნენ, რომ, რასაც ეს პოლიტიკური ორგანიზაციები აკეთებენ, ეს არის ზოგადად პოლიტიკის და პოლიტიკოსის სახელის სრული დისკრედიტაცია.

თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ამ კოშმარის შემხედვარე საზოგადოებამ ისე დაკარგოს ნდობა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების მიმართ, რომ მომავალ არჩევნებში ხმის მიმცემი არავინ დარჩეს.

რატომ არ აწუხებთ ეს საკითხი როგორც ადგილობრივი წარმოშობის პოლიტიკურ პარტიებს, ასევე ჩვენს მეგობრებს და პარტნიორებს საერთაშორისო თანამეგობრობიდან, რომელთა თვალწინაც იქცა „ნაცმოძრაობა“ მონსტრად და ურჩხულად და საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ჭამა დაიწყო.

სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციაც“, რომელსაც დიდი აღტაცებით შეხვდა დემოკრატიული მსოფლიო, წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება იყო, რომელსაც ზუსტად ის გაგრძელება ჰქონდა, რაც სახელმწიფო გადატრიალებას უნდა ჰქონოდა – გარედან დემოკრატიის ფერად-ფერადი ფალასფულასით შეფუთული, შიგნით კი ავტოკრატიული, დიქტატურისკენ მიდრეკილი სასტიკი და არაადამიანური რეჟიმი.

პირდაპირ უნდა ვთქვათ: 2003–12 წლებში საქართველოში მომხდარ იმ დიდ უბედურებაზე, რასაც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური მმართველობის სამარცხვინო და დანაშაულებრივი რეჟიმი ჰქვია, პასუხისმგებლობა იმ დემოკრატიულ ძალებს, იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებსაც ეკისრებათ, რომლებმაც თავის დროზე ობიექტური შეფასება არ მისცეს ამ რეჟიმს და ქართველ ხალხს მის დამარცხებაში არ დაეხმარნენ.

დღესაც იგივე პრობლემის წინაშე დგას საქართველო — ნაციონალი ფაშისტები ამტკიცებენ, თითქოს, არჩევნები გაყალბდა, თორემ მთელი ქართველი ხალხი ამ ფაშისტებს აძლევდა თურმე ხმას.

სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება იგივეა ადოლფ ჰიტლერი, მუსოლინი, პოლ პოტი, სადამ ჰუსეინი, იდი ამინი თუ ბოკასა კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ამას დანარჩენი მსოფლიო შეეგუოს.

— სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ შექმენით დროებითი მთავრობა და მთელ მსოფლიოს აცნობეთ, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა — იძლევა ბრძანებებს საზღვარგარეთიდან კგბ-ს ყოფილი მაღალჩინოსანი თემურ ალასანია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს კვლავ თავისი კრამიტდაცურებული დისშვილი დაასვას თავზე.

რა გახდა ეს თემურ ალასანია ასეთი? ეს ამუშორებელი ჭირი, ეს ქართველთყლაპია სატანა, ეს ზითელი კომისარი.

მოვუწოდებთ ქართველ სამართალდამცველებს — დაუყოვნებლივ აღძარით სისხლის სამართლის საქმე თემურ ალასანიას, ამ საერთაშორისო მასშტაბის „რაზბოინიკის“ და მისი ადგილობრივი „პადდელნიკების“ წინააღმდეგ!

●

— დაინიშნოს ხელახალი არჩევნები! — მოითხოვს „ნაცმოძრაობა“ და ამასვე იმეორებენ მისი „ტუტუცები“ — ე.წ. ოპოზიციური პარტიები. (ტუტუცი თანამდებობა იყო მეფის კარზე და მის მოვალეობაში შედიოდა მეფის ყვ...ების ფხანა).

ეს თანამედროვე ტუტუცები თემურ ალასანიას და მიშიკოს ყვ...ბის მფხანელებად მუშაობენ და თან საქართველო უნდა ვიხსნათ და დემოკრატია უნდა გადავარჩინოთო, იძახიან.

თქვენი გადარჩენილი საქართველო ხელახლა იქნება გადასარჩენი.

მართლა რომ გაბრაზდეს ეს „ქართული ოცნება“ და ხელახალი არჩევნები რომ დანიშნოს, მერე სად მიდიხართ, — რვა პარტიიდან მხოლოდ ერთი თუ გადალახავს 5%-იან ბარიერს, დანარჩენი შვიდი ხომ აუცილებლად გარეთ დარჩებით.

ამისთვის იკლავთ თავს? ამისთვის უძვრებით ერთ ადგილას საკაშვილს და მის ბიძას?

ვის ემსახურებით, ვის ემონებით, ვის დაუდექით ყმად და პირისფარეშად?

ვინ რა გაგიყალბათ, ვინ რა მოგპარათ?

ალეკო ელისაშვილისთვის ვის რა უნდა მოეპარა, რა ჰქონდა მოსაპარი, რომ მოეპარათ, თუ არა კი...

დღეს პატიოსანი და ალალ-მართალი კაცის როლს რომ თამაშობს, ეს ის გათახსირებული ალეკო არ არის, რვა ქართველი ახალგაზრდა რომ დააჭერინა ღია ეთერში?

ან „გირჩისთვის“ რა უნდა მოეპარათ ან მისი შარვალჩახდილი ლიდერისთვის, შიშველი უკანალით რომ ცდილობს ოკუპანტების დაშინებას?

იქნებ „ლელოს“ ჰქონდა რამე მოსაპარი და დასაყაჩაღებელი, მევახშე და ყაჩაღი რომ ჰყავს ბელადად, რომელსაც მის მიერ დაყაჩაღებული მეანაბრეებისთვის თვალებში შეხედვის არ რცხვენია.

იქნებ „ჯუნიორ“ ვაშაძეს ჰქონდა სამი კი არა ოცდასამი პროცენტი და „მავნებელმა“ ჟვანიამ ოცი პროცენტი ააწაპნა, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ეჩუქებინა?

„ჯუნიორ“ ვაშაძე, კაცი „ვოზდუხი“, კაცი „ბლეფი“, აღმაშენებლობას რომ იჩემებს და ორი მდედრობითი სქესის „ჭყონდიდელის“ — თაკოს და თეონას გარდა, ვერავინ შემოიკრიბა თანამოაზრეებად.

აბრაგები შემოგვივარდნენ და დაგვაყაჩაღესო, რომ აგიჩემებიათ, რა თვალ-მარგალიტი თქვენ გელაგათ თქვენს ბუტაფორიულ პოლიტიკურ სახლებში, რომ ვინმეს დაეყაჩაღებინეთ?

არაფერს არ წარმოადგენთ, არავინ არ ხართ თქვენ, გარდა ერთისა — სააკაშვილის ტუტუცები ხართ თქვენ და ისტორიაშიც ამ სახელით შეხვალთ: **სააკაშვილის ტუტუცები**.

ვახტანგ ხარჩილავა

ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და დაიცვას იმ მილიონი ადამიანის ხმა, ვინც მას ნდობა გამოუცხადა

ნინო ბურჯანაძემ აღარ გაბედოს 26 მაისის და „სახალხო კრების“ ხსენება

გვესაუბრება ყოფილი პარლამენტარი ლუკა კურტანიძე:

— ლუკა, ოპოზიცია საპარლამენტო არჩევნების არალეგიტიმურობაზე საუბრობს და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. როგორია თქვენი პოზიცია?

— ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება როდია, არამედ მთელმა მსოფლიომ, პარტნიორმა ქვეყნებმა, აშშ-მ, ევროპამ ერთხმად დააფიქსირეს, რომ არჩევნები თავისუფალ, კონკურენტულ გარემოში ჩატარდა. ამას მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს. ერთი რაც აშკარაა, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მასთან მიტმასნილ პარტიებს სურთ ძალაუფლება ძალადობრივი გზით ხელთ ჩაიგდონ, რაც არ გამოუვათ.

ოპოზიცია, რომელიც ახლა ქუჩაში დგას, ყველანი დემოკრატიის მტრები არიან. თუ პარლამენტში არ შევლენ, ამით არაფერი დაშავდება. მერვე მოწვევის პარლამენტში, სადაც მეც გახლდით, ამა თუ იმ საკითხის განხილვისას მთავრობას ჩვენგან არანაკლები წნეხი ჰქონდა. ასე, რომ მათი არშემოსვლით, პარლამენტს არაფერი დააკლდება. დანარჩენი, საზოგადოების შესაფასებელია. ხელისუფლება საზოგადოებისგან შორს არ დგას. პირიქით, ჩვენ დემოკრატიული ღირებულებებით ვმოქმედებთ. „ნაცმოძრაობა“ უნიათობაში გვდებს ბრალს იმიტომ, რომ მათთვის წარმოუდგენელია იმ დემოკრატიული ღირებულებებით სახელმწიფოს მართვა, რასაც „ქართული ოცნება“ რვა წელია ახორციელებს. ხალხმა სწორედ დემოკრატიას მისცა ხმა. ჩვენი ხელისუფლება დემოკრატიული, არაძალადობრივია. მას თითოეული მოქალაქის ესმის და ხალიხს მაჯისცემაზე უჭირავს ხელი. ასე, რომ ძალადობრივი ნიშნები და ქმედებები რასაც „ნაცების“ დროს ადგილი ჰქონდა, წარსულს ჩაბარდა. „ნაცებს“ ხომ ძალადობის გარეშეE ვერც კი წარმოედგინათ ქვეყნის მართვა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება პირველია რომლის მმართველობის დროსაც კონფლიქტი და ომი არ ყოფილა. „ნაცები“ ადამიანებს კლავდნენ, ჩვენ კი ასი ათასობით ადამიანი ც ჰეპატიტის პროგრამით სიკვდილს გადავარჩინეთ. ეს წარმოუდგენელი თანხებია. ერთი ადამიანის განკურნება 100 ათასი დოლარი ჯდება. ჩვენ არ გაგვირჩევია „ქართული ოცნებისა“ და „ნაცების“ მხარდამჭერები, ყველას ვუმკურნალეთ. ჩვენ, მათ სიცოცხლე შევუნარჩუნეთ. „ნაციონალები“ კი ჯანმრთელ ადამიანებს ჯერ ციხეში აავადებდნენ და მერე კლავდნენ. ასე, რომ ამ ორ ძალას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. უამრავი საჩივარია შემოსული იმ ადამიანების, რომლებსაც „ნაცმოძრაობამ“ და მისმა ავადმყოფმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა კერძო ქონება ჩამოართვა. ასობით ადამიანს წართმეული ქონება დაუბრუნდა. ადამიანის უფლებების დაცვა მაღალ რანგშია აყვანილი. „ნაცების“ დროს ნებისმიერი წვრილმანი ჩინოვნიკიც კი ადამიანებზე ძალადობდა. რამ გამოიწვია 2012 წელს ცვლილებები? — იმან რომ ხელისუფლება ძალადობრივი, მკვლელი იყო, პრეზიდენტი კი ავადმყოფი ჰყავდათ. დღეს ეს პრობლემები აღარ არსებობს. უბრალოდ, ადამიანებმა შედარება გააკეთეს და მილიონზე მეტმა მოქალაქემ მესამედ გამოუცხადა „ქართულ ოცნებას“ ნდობა. იმიტომ, რომ მათ არ უნდათ იმ წარსულში დაბრუნება, სადაც სიცოცხლეზე ძალადობენ. აი, ეს არის განსხვავება. ყველაფერი შედარებითი. ახლა, რუსთაველის პროსპექტზე არიან შეკრებილნი. ეს ხალხი არ არის მთელი საქართველო. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება პანდემიას ღირსეულად გაუმკლავდა. სახელმწიფო მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა ხალხს შეღავათებს უკეთებს, რაც მისასალმებელია. კარგი ხომ უნდა დავინახოთ. ოთხი თვე კომუნალურ გადასახადებს სახელმწიფო გადაიხდის, რაც ძალიან დიდი შეღავათია. სამწუხაროდ, „ნაცმოძრაობის“ გვერდით მდგომები არანაირად არ განსხვავდებიან ამ მკვლელი პარტიისგან. ისინი ხელისუფლებაში მოსვლას ძალადობრივად აპირებენ. ვფიქრობ, სახელმწიფოს შესწევს ძალა, რათა ერთი მუჭა ადამიანების ძალადობრივ ქმედებაზე ადექვატური რეაგირება მოახდინოს. იმედია, საქმე იქამდე არ მივა, რომ მილიონზე მეტი ადამიანი ვინც „ქართულ ოცნებას“ მხარი დაუჭირა, საკუთარი ხმების დასაცავად ქუჩაში გამოვიდეს.

— არჩევნების დღეს „ნაცებმა“ „გამარჯვება“ წინასწარ იზეიმეს და მერე ყვირილი ატეხეს: აი, არჩევნები გაგვიყალბესო.

— ეს მხოლოდ „მთავარ არხზე“ როდი ხდებოდა. მინდა გითხრათ, რომ ეს არც არჩევნების დღეს არ დაწყებულა. ჯერ კიდევ თვეების წინ მაგალითად, გიორგი ვაშაძემ, გრიგოლ ვაშაძემ, ნინო ბურჯანაძემ უკვე პრემიერ-მინისტრად გამოაცხადეს თავი. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კოალიციურ მთავრობაზე საუბრობდნენ. ანუ, ისინი დიდი ხანია ემზადებიან. საზოგადოების ნაწილს, თუნდაც იმ 25%-ს რადიკალური ქმედებებისთვის და არჩევნების შედეგების გაპროტესტებისთვის წინასწარ ამზადებდნენ. ეს ტრაგი-კომედიაა. თავისი ამომრჩევლები იქამდე მიიყვანეს, რომ დააჯერეს: თურმე, კოალიციურ მთავრობას ქმნიდნენ და პრემიერად ვაშაძეს ნიშნავდნენ. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის რომ ბოკერია, მელია, სააკაშვილი, სამადაშვილი და სრულიად „ნაციონალები“ დამნაშავე რეჟიმია და ისინი ვერც შეიცვლებიან. ძალადობა მათი ხელწერაა. კიდევ ვიმეორებ — მილიონზე მეტი ხმა გვაქვს და პლუს კიდევ არიან ის ადამიანები რომლებიც არჩევნებში აქტიურად არ ერევიან. მოსახლეობის, დაახლოებით, 34%-მა არჩევნებში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო. ეს დაუშვებელია! სააკაშვილმა და „ნაცებმა“ რაც მაშინ ვერ დაასრულეს, ამას ახლა გააკეთებდნენ და საქართველოს სამარემდე მიიყვანდნენ. იმ ხალხმა ვინც არჩევანს არ აკეთებს, პასიურობს უნდა იცოდეს: რა შეიძლება ასე ქვეყანას დაემართოს.

— არჩევნები, ძირითადად, საზოგადოების გამოცდაა. 25% ვინც მკვლელების პარტიას ხმა მისცა, განა საზოგადოების სირცხვილი არ არის?

— დიახ, რა თქმა უნდა, ასეა. ჩემს აღშფოთებას იწვევენ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს კადრულობენ ხელისუფლებაში მოსახვედრად. არ შემიძლია ჩემი გულისტკივილი არ გამოვთქვა: როგორ შეიძლება „ეროვნული ფორუმის“ ლიდერი იყო და იმას აკეთებდე, რასაც გუბაზ სანიკიძე კადრულობს. იგი, სულგაყიდული ადამიანია. ეს მარაზმია. ასევე, ნინო ბურჯანაძე, რომლისაც „სახალხო კრებას“ სჯეროდა — ნონა გაფრინდაშვილს, ჭაბუა ამირეჯიბს, რეზო ესაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს, გოგი ქავთარაძეს, ოტია იოსელიანს და ა.შ. მათ შორის, მისი მეც გულწრფელად მჯეროდა, მაგრამ ამ ადამიანმა სულში ჩააფურთხა იმ სულნათელ ადამიანებს. დიახ, ნინო ბურჯანაძემ გარდაცვლილ, ღვაწლმოსილ ადამიანებს იქ, სამარეში ჩააფურთხა. ასევე, მათ ვინც 26 მაისს დაიღუპა საფლავებში ჩააფურთხა. როგორ შეიძლება უგულავასთან, ბოკერიასთან, სააკაშვილთან გვერდით დაჯდე და დანარჩენ საქართველოს ემუქრებოდე. 26 მაისს მათ სასაკლაო მოაწყვეს და ეს ქალბატონი ამ მკვლელებს მიუჯდა გვერდით და იქედან ამ მოძალადეებთან ერთად გვემუქრება. ნინო ბურჯანაძემ აღარ გაბედოს 26 მაისის და „სახალხო კრების“ ხსენება. ვის გვერდით არის ეს ქალბატონი. ნათელაშვილზე არაფერს ვამბობ, სრული მასხარაა. ავიღოთ, სალომე სამადაშვილი, რა ენაზე ლაპარაკობს. ამდენი რამ გამოვიარე ცხოვრებაში, რა აღარ მინახავს და ვერასდროს გავიმეორებ იმ სიტყვებს და ფრაზებს, რასაც იგი

6 გვ.

ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

ერის სახელით მოუბარი, კორონადისტრიბუტორი, კოლექტიური ქინძები ცივი წყლის ჭავლით „გამასპინძლებამ“ აღაშფოთათ. პოლიციელების შეურაცხყოფა, ქვების სროლა, მომიტინგეების „დაბოლება“და სხვა უზნეო საქციელი ნაცლიდერებისთვის ჩვეული საქმიანობაა. სხვა უბედურებასთან ერთად, ნაცლიდერებს ამნეზიაც ჭირთ და შევახსენებ უახლესი ისტორიას. კანონში „პოლიციის შესახებ“ცვლილებები სწორედ მათ შეიტანეს და მანამდე უკანონოდ არაერთგზის გამოიყენეს არალეტალური იარაღი და არამარტო... საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ მიიღეს 1997 წელს და მასში ცვლილებები რამდენჯერმე შევიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები კი 2009 წელს განხორციელდა ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო ტალღისა და პოლიტიკური კრიზისის პასუხად. პარლამენტმა ისე დაუჭირა ცვლილებებს მხარი, რომ ვენეციის კომისიის აზრი არ გაითვალისწინა.

სწორედ ნაცკანონმდებლებმა დააწესეს საჯარო დაწესებულების შენობიდან 20 მეტრის რადიუსში აქციის გამართვის აკრძალვაც. 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში „პოლიციის შესახებ კანონით“ განისაზღვრა იმ სპეციალური საშუალებების სია, რომელთა გამოყენება შეიძლება საჯარო წესრიგის შესანარჩუნებლად: „კერძოდ, ეს არის არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა. “შესწორებები შევიდა ასევე კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.“ 54 ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა 30 დღიდან 90 დღემდე გაიზარდა. შედარებით გრძელვადიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხე შუქმნა მათი შეკრების უფლებას დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში 2009 წლის 6 მაისს, საზოგადოებრივ წესრიგის დამყარების მიზნით პოლიციამ გამოიყენა პლასტიკური და რეზინის ტყვიები დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლის გამოყენებაც იმ დროს აკრძალული იყო. დაშავდა ოცდაცხრა ადამიანი. დაშავებულებს შორის იყო რამოდენიმე პოლიტიკური ლიდერი და ოპოზიციის მხარდამჭერი: გია მაისაშვილი, დავით გამყრელიძე, შალვა ოგბაიძე, ლევან გაჩეჩილაძე და გია გაჩეჩილაძე („უცნობი“). ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი სალომე ქოქიაშვილი, ტელეკომპანია „კავკასიის“ ოპერატორი ზაზა შუკვანი, რუსთავი 2-ს ოპერატორი ლევან კალანდია; გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტი ნინო კომახიძე და ფოტორეპორტიორი ანა ხავთასი. შინგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა გამოძიება პოლიციელების მიერ გადამატებული ძალის გამოყენების ფაქტებზე და დაადგინა რომ პოლიცია მოქმედებდა კანონის ფარგლებში. არადა, კანონში ცვლილებები აღნიშნული ქმედების შემდგომ შევიდა. თუმცა, არავინ დასჯილა აკრძალული იარაღის გამოყენების გამო. 2009 წლის 15 ივნისს რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები, რომელთა ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და ნიღბები ეკეთათ, თავს დაესხნენ აქციის მონაწილე ოპოზიციური ჯგუფების ახალგაზრდული ფრთის ათეულობით წარმომადგენელს, რომლებიც მშვიდობიან საპროტესტო აქციას აწყობდნენ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. სამართალდამცველები ათეულობით მშვიდობიან მომიტინგეს სასტიკად გაუსწორდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ პოლიციისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და არც აგრესიულად იქცეოდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ჟურნალისტი და ოპერატორი დაშავდა; ჟურნალისტებს ასევე წაართვეს აპარატურა, ოცდაცხრამეტი ადამიანი, ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ფრთის ხუთ აქტივისტს ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სხვები კი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ვახტანგ მენაბდე პოლიციამ სცემა, მიუხედავად იმისა რომ მას სპეციალური ფორმა ეცვა „სახალხო დამცველის“ წარმომადგენლის ნიშნით. სახალხო დამცველის ანგარიშში წერია- „შეტევა დაიწყო დაახლოებით 00:15 საათზე. დემონსტრაციის ორივე ბოლოში რუსთაველის გამზირზე განლაგებულმა პოლიციის ძალებმა დაიწყეს აქციის დაბლოკვა. დემონსტრანტებს დაუშინეს გაზის ყუმბარები და წყლის ჭავლი. ისმოდა სირენის განუწყვეტელი ხმა. წინააღმდეგობას დემონსტრანტთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ფოტოზე კარგად ჩანს რამდენიმე დაკავებული რუსთაველის გამზირზე, მათ შორის საკუთარ სისხლის გუბეში — გიორგი ოგბაიძე, მისი განცხადებით, ის დააკავეს 26 მაისს ღამეს და ნაწამები იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორში. დაჭერის შემდეგაც მის ოჯახზე ხელისუფლების მხრიდან ხორციელდებოდა უკანონო თვალთვალი და მუქარა. პოლიციის წინსვლის შედეგად, მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა მიატოვეს ადგილი სცენის წინ და უკან დაიხიეს პარლამენტის შენობისაკენ, მაგრამ მათი არ მიეცათ გასაქცევი გზა. ისინი ყველა მხრიდან გარშემორტყმულები იყვნენ. პოლიციელებმა განურჩევლად ყველას ცემა დაუწყეს. რეზინის ტყვიებს ისროდნენ ახლო მანძილიდან და ძალა გამოიყენეს ყველა დემონსტრანტის წინააღმდეგ იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგებოდნენ ისინი სამართალდამცავებს თუ არა. ღია საინფორმაციო საშუალებების თანახმად, რამდენიმე ჟურნალისტის წინააღმდეგ გამოიყენეს ძალა. ზოგიერთს წაართვეს ჩაწერილი მასალა. არსებობს ვიდეომასალა, რომელზეც სპეცრაზმი სცემს სავარაუდოდ არასრულწლოვანს. დემონსტრანტების ნაწილი შეცვივდა რუსთაველის კინოთეატრში თავშესაფრის საპოვნელად. სპეცრაზმი მათ დაედევნა, დაუწყო ცემა და დაპატიმრება. ზოგიერთი თვითმხილველის თანახმად, როცა რთული გახდა დემონსტრანტების განსხვავება კინოთეატრის მაყურებლებისაგან, პოლიციელებმა მოითხოვეს კინოთეატრის ბილეთების, როგორც დამამტკიცებელი საბუთის ჩვენება, რომ ისინი არ ეკუთვნოდნენ დემონსტრაციას. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მონიტორებმა იხილეს, როგორ გაიყვანეს დაპატიმრებული მოქალაქეები კინოთეატრიდან. ზოგიერთ მათგანს სცემეს ან მათ უკვე ჰქონდათ ფიზიკური ზიანის კვალი. დაკავებული პირების ზუსტი რიცხვი უცნობია. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მონიტორები დააკვირდნენ სიტუაციას აქციის დაშლის შემდეგ. სპეცრაზმმა დაკავებული პირები მიწაზე დაანარცხა. მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, სცემდნენ და სიტყვირ შეურაცხყოფას აყენებდნენ. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, დაახლოებით ორმოცი ადამიანი გაუჩინარდა. სახალხო დამცველის სამსახურმა შეძლო ზოგიერთი მათგანის პოვნა საქართველოში არსებულ დაკავების სხვადასხვა იზოლატორებში. საიას ანგარიშის თანახმად, გაუჩინარების ზოგიერთი შემთხვევა დაკავშირებული იყო ფაქტთან, რომ დაკავებულები განუწყვეტლივ გადაჰყავდათ დაკავების ერთი იზოლატორიდან მეორეში და ხელს უშლიდნენ მათი პოვნის პროცესს. არსებობს არაერთი ვიდეო მასალა როგორ ისვრის პოლიციელი რეზინის ტყვიებს ახლო მანძილიდან. ნაცხონდერებმა 2007 წელს დიდი „გამოცდილება“ შეიძინეს როდესაც ოპოზიციამ კვლავ მოახერხა გაერთიანება და სახალხო პროტესტი გამოიწვია გადაუჭრელმა სოციალურმა პრობლემებმა ასევე ელიტური კორუფციის ბრალდებებმა. პროტესტი განსაკუთრებით გაძლიერდა 2007 წლის სექტემბერში, მანამდე გათავისუფლებულმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა სკანდალური განცხადება გააკეთა და საავაშვილი ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასა და პრემიერ მინისტრ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მონაწილეობაში დაადანაშაულა. მასობრივი დემონსტაციები დაიწყო 2007 წლის 2 ნოემბერს. რამოდენიმე დღის განმავლობაში პარლამენტის წინ დემონსტრანტების რიცხვი 100 000-ზე მეტს აღწევდა. იმის შიშით რომ სიტუაცია შევარდნაძის დროინდელი სცენარით არ განვითარებულიყო, რასაც მაშინდელი პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა, ხელისუფლებამ 7 ნოემბერს ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია დაარბია. დარბევის პროვოცირება ადრე დილით აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფსა და პოლიციას შორის მომხდარმა უმნიშვნელო ინციდენტმა გამოიწვია. სპეცსამსახურების რაზმებმა გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი, და სხვა საშუალებები. რისი კანონიერი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. მათ გარდა დარბევაში მონაწილეობას



6 გვ. →

ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და დაიცვას იმ მილიონი ადამიანის ხმა, ვინც მას ნდობა გამოუცხადა

4 გვ.

ფარულ ჩანაწერებში ამბობდა. სამადაშვილმა უნდა გადამირჩინოს და მართოს საქართველო?! ოდესმე ხომ დამთავრდება ეს პოლიტიკური ბატალიები და მერე შეგრცხვებათ. რა უნდა უთხრას გუბაზ სანიკიძემ თავის ოჯახს, შვილებს, როგორ იმართლებს თავს, ან ნინო ბურჯანაძემ რა უნდა უთხრას სულმნათ რეზო ესაძეს და ჭაბუა ამირეჯიბს?! დიახ, რა უნდა უთხრას იმ ხალხს ვისი სისხლიც 26 მაისს დაღვარეს — ახლა, სააკაშვილი კარგია და გიგი უგულავა პოლიტიკური პატიმარიაო?!

— ლუკა, ახლა აღნიშნეთ, ეს მოძალადეები პოლიტიკური ველიდან უნდა გავდევნოთო. ანუ, მიგაჩნიათ, რომ „ნაციონალების“ ადგილი პარლამენტში კი არა, სულ სხვაგან არის?

— დიახ, რა თქმა უნდა. ყოველთვის მათი გასამართლების მომხრე ვიყავი, ამას ბატონ ბიძინასაც ვეუბნებოდი. ერის კაცი ამბობს, რომ ისინიც ჩვენი, რადიკალური და-ძმები არიანო. მაგრამ ადამიანები რომლებიც არ იცვლებიან, ციხიდან რომ გამოუშვებ და ხალხს ისევ დამხობისკენ, რევოლუციისკენ მოუწოდებენ, და-ძმად როგორ მივიღო. ამ მხრივ, ერისკაცთან წინააღმდეგობაში ვარ. კი, მათთან თანაარსებობას დავთანხმდით, რათა ეს შუღლი და თაობათა დაპირისპირება დამთავრებულიყო. ამიტომ გადაიდგა ეს ნაბიჯი. მაგრამ რა მოხდა? — მოძალადე მერაბიშვილი გამოვიდა ციხიდან და პირველი რაც თქვა: ხელისუფლება უნდა დავამხოთო, ისევ, გვამებზე დაიწყო საუბარი. უგულავა გამოუშვეს და ენერგიას ვერ იოკებს — მთელ ქვეყანას შეურაცხყოფას აყენებს, უკანასკნელი სიტყვებით იგინება. როგორ შეიძლება ამ ადამიანებს ან ჩემი ძმა ვუწოდო ან ჩემი თანამოქალაქე. ეს დაუშვებელია. ელემენტარული მაინც გავაკეთოთ და პოლიტიკური ველი ამ ადამიანებისგან გავწმინდოთ. არ შეიძლება მკვლელს იარაღი ხელიდან გაუვარდეს და ისევ მიაწოდო. იგი, ისევ გესვრის. ამიტომ, ამ მხრივ, მე, ცოტა რადიკალური ვარ. ალალად ვამბობ: ერის კაცის მტვრადაც არ ვღირვარ, ბოლო ამოსუნთქვამდე მის გვერდით ვიქნები, მაგრამ ამ საკითხში მასთან წინააღმდეგობა მაქვს. დიახ, ეს ადამიანები პოლიტიკურ ველს უნდა ჩამოშორდნენ და სიმშვიდეც იქნება, მეტი განვითარებაც და წინსვლაც.

— გამოქვეყნდა ჩანაწერები, სადაც პირდაპირ გადატრიალება იგეგმებოდა. ამის გამო ეს ადამიანები არ უნდა დაისაჯონ?

— რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მეტიც, ისინი უკვე დაკითხვაზე უნდა იყვნენ დაბარებულნი და საზოგადოებისგან იზოლირებულნი. დიახ, ასე უნდა ვიმოქმედოთ. ერთხელ დეგოლს მისმა მრჩეველმა უთხრა: ზედმეტი ლიბერალიზმი და დემოკრატია, ლიბერალური მიდგომები არის ანარქიაო. დიახ, ჩვენ ანარქიამდე მივდივართ. რას აკეთებს ეს ხალხი? — ზაფხულში ლამის პარლამენტში შევარდნენ, ვინმე დაისაჯა? გრიგოლ ვაშაძემ პოლიციელს ხელი წამოარტყა. მან კონკრეტულად იმ ადამიანს კი არ მიაყენა შეურაცხყოფა, არამედ სრულიად საქართველოს. ვინ არიან ეს ხალხი? — უგულავა საქართველოს დედას აგინებს, მერაბიშვილი სახელმწიფოს დამხობისკენ მოუწოდებს, სააკაშვილს ვერ გაურკვევია უკრაინის მთავრობის წევრია თუ საქართველოში გააჩნია გარკვეული სურვილები. იგი, პრეზიდენტი იყო და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა, რათა ოდესის გუბერნატორი გამხდარიყო. აი, ასეთი უსირცხვილოები არიან.

ნაცები მოძალადეები არიან. მათ რა პროცენტიც არ უნდა დაუთმო, გინდაც 35–40% დაუწერო დღესვე, მაინც არ გაჩერდებიან. რადგან მათი მიზანი ეს კი არ არის, არამედ არეულობა, დესტაბილიზაცია, ქვეყნის ნგრევა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამისთვის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ემზადებოდნენ. იმთავითვე იცოდნენ, რომ გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ. ამიტომ, ძალისმიერი მეთოდებით, არეულობით უნდათ ოცნებები აისრულონ. სააკაშვილის ოცნებაა საქართველოს ჯანსაღი ნაწილის ციხეში ამოლპობა. ეს არის მიზანი, თორემ, თუ გინდა დღესვე 40% მიეცით, მაინც არ გაჩერდებიან. მათ იციან, რომ ხელისუფლებაში მოსვლის არავითარი შანსი არ აქვთ. იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის სასიკეთო უამრავ პროექტს ახორციელებენ. მსოფლიოში დიდი გამოწვევების მიუხედავად, ხელისუფლება სამაგალითო ნაბიჯებს დგამს. მოქალაქე აღარ იჩაგრება, ქონებას არავინ ართმევს, არავინ კლავს, არავინ აწამებს. მე, ლუკა კურტანიძე მივმართავ ძალოვან სტრუქტურებს: იმოქმედონ. ვინც სახელმწიფოს დამხობისკენ მოწოდებებს ავრცელებს, მათი საზოგადოებისგან იზოლირება მოახდინონ.

მილიონმა ადამიანმა დღევანდელ ხელისუფლებას ნდობა გამოუცხადა. მან კეთილი ინებოს და ეს ნდობა დაიცვას. დიახ, ხელისუფლებას მივმართავ: კეთილი ინებეთ და ქართველი ხალხის ხმები დაიცავით.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

5 გვ.

იღებდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ნიღბიანი დაუდგენელი პირები. კრიმინალებისგან ჩამოყალიბებული ოპოზიციაზე დაგეშილი, ზონდერ ჯგუფები რომლებიც წარმატებით ატერორებდნენ „მოწინააღმდეგეებს“. მოგვიანებით, დემონსტრანტები პარლამენტის შენობიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით რიყეზე შეიკრიბნენ. პოლიცია ისევ დაესხა თავს მათ ორივე მხრიდან. გავრცელდა ვარაუდები რომ ამ დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღიც.

2009 წლის აპრილიდან ივლისამდე დაუდგენელი პირები დროდადრო თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ათეულობით აქციის მონაწილეს. მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ყველა ამ ფაქტს საერთო მახასიათებელი ჰქონდა — ღამით, ნიღბიანი მამაკაცების ჯგუფი თავს ესხმოდა აქციის მონაწილეებს, არა იმ ტერიტორიაზე სადაც დემონსტრაცია მიმდინარეობდა, არამედ ახლო მდებარე ქუჩებზე. ყველა თავდასხმა ერთი ნიშნით ხასიათდებოდა – თავდამსხმელების სამიზნე ხდებოდნენ ოპოზიციური პარტიების კონკრეტული წარმომადგნელები და აქტივისტები. ჩვენებებში ნათქვამია რომ პოლიცია რეაგირებას არ ახდენდა მსგავს ფაქტებზე. სასტიკი დარბევით დასრულდა აფხაზეთის პირველი ომისა და 2008 წლის რუსეთთან ომის ვეტერანების საპროტესტო აქცია გმირთა მოედანზე. მათ მოთხოვნას წარმოადგენდა ვეტერანთა სოციალური დაცვის გაუმჯობესება. აქცია მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში 2011 წლის 3 იანვრამდე, როცა პოლიცია მიუახლოვდა დემონსტრანტებს და შეეცადა მოეხდინა მათი იძულება დაეტოვებინათ ტერიტორია. უარის მიღების შემდეგ, პოლიციამ დაიწყო მათი დაკავება. აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშში ეწერა „3 იანვარს განხორციელებულ სამართალდამცავების ქმედებებთან დაკავშირებით ორი მთავარი პრობლემაა. პირველ რიგში, ინტერვენცია დაკავების ფორმით არ იქნა გამართლებული საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონმდებლობით; მეორე; იმ შემთხვევაშიც კი ინტერვენცია რომ გამართლებულიყო, გამოყენებული ძალა იყო აშკარად არაპროპორციული, რადგანაც ვიდეო მასალა აჩვენებს, როგორ სცემდნენ დაკავებულ დემონსტრანტებს არარეგულარული პოლიციის წარმომადგენლები. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ადგილზე ორი მონიტორი გაგზავნა. მათ პოლიცელთა მხრიდან არანაირი გასამართლებელი ან ახსნა-განმარტებითი განცხადებები არ მოუსმენიათ. აქციის მონაწილეები წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დაემორჩილნენ სამართალდამცველთა მოთხოვნებს და ნაცვლად გმირთა მოედანისა ვარაზის ხევში შეიკრიბნენ. თუმცა ვერც ისინი გადაურჩნენ ნაცზონდერ სამართალდამცავების დაუმსახურებელ რისხვას...უამრავი ფაქტი არსებობს როგორ უსწორდებოდა ნაცხროვა მშვიდობიან მომიტინგეებს. მელიაც შესანიშნავად ხმარობდა „კომბალს“, გვახსოვს, 26 მაის მათ მიერ ცემაში მოკლული ორი მამაკაცი როგორ „გაასაღეს“ელექტრო დენით მოკლულ მსხვერპლად...ასე, რომ კორონადისტრიბუტორები, მავნებლები, ნაცგარეწრები ამაოდ კვნესიან და ოხრავენ ცივი წყლის ჭავლით მიყენებული „ტკივილის“გამო. ნუ გამოსცდიან იმ უმრავლესობის მოთმინებას ვისაც მათმა, რეჟიმმა მართლაც შეუხორცებელი ჭრილობები მიაყენა და დღემდე მათი დაუსჯელობით სულიერ ტკივილსაც ვერ იშუშებენ. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ და უნიფხვოდ პოლიტიკაში შემძვრალი, შემდეგ კოჰაბიტაციის ხიბლში ჩავარდნილი ნაცბანდა ჯერ ხალხის ძვლებზე და სისხლზე აშენებულ იმპერიას დაკარგავს და შემდეგ კიდევ ვინ იცის რას... ნაცლიდერებო – **Memento mori**!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

საქართველოს „ნაცმოძრაობის“ და ოპოზიციის სახით რუსული აგენტურა უტევს

თემურ ალასანია სერგო ორჯონიკიძეა, გუბაზ სანიკიძე – თენგიზ კიტოვანი





სახელმწიფო უსაფრთხოების ყოველწლიურ ანგარიშებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს დღევანდელ პრობლემას კვლავაც წარმოადგენს რუსული აგენტურა, რუსული გავლენის გაძლიერების მცდელობა, კიბერთავდასხმების დიდი ალბათობა და საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომის წარმოება. ოფიციალური ანგარიშები ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას — რუსეთის მხრიდან ზეწოლა ყველაზე მეტად იკვეთება არჩევნების პერიოდში.

მას შემდეგ, რაც მეზობელმა სახელმწიფომ "კაგებეშნიკი" გრიგოლ ვაშაძე თავზე ვერ დაგვასვა, საპრეზიდენტო ტახტზე ვერ წამოაგორა და ამ გზით სიტუაცია ვერ აგვირია, ორი წლის შემდეგ ე.წ. პოლიტიკური სპექტრი ამოგვიქექა. ალბათ გახსოვთ, რა ჩაიდინა ვლადიმერ პუტინის მიერ გამოგზავნილმა ჯგუფმა, რომელსაც ვინმე ვიტალი შკლიაროვი ხელმძღვანელობდა და რამდენიმე თვის წინათ ბელორუსში დააპატიმრეს. სალომე ზურაბიშვილს დააბრალეს სამშობლოს ღალატი, რუსეთის ჯაშუშობა და კიდევ ათასნაირი სიბინძურე. დაბრალეს ის, რასაც თავად აკეთებდნენ და დღესაც აკეთებენ "ნაცმოძრაობის" გაქსუებული ე.წ. ლიდერები. არც ვინმე შკლიაროვს და არც სააკაშვილის ბინძურ ბანდას ახალი არაფერი მოუგონიათ — მათი მეთოდები ერთი-ერთზე ემთხვევა მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრის, იოზეფ გებელსის მეთოდებს, რომლის მთავარი ხაზი იყო: "დააბრალე იქით, დაე, იმართლონ თავი".

"ნაციონალებისა" და მათთან გათანაბრებული ე.წ. პარტიების ხელწერაში არაფერი შეცვლილა. მეტიც, ამ არჩევნების პერიოდში უფრო ნათლად გამოიკვეთა რუსული აგენტურა და ფაქტობრივად კიდევ ერთხელ დავდექით დიდი ლუსტრაციის წინაშე. თუმცა რაღა ლუსტრაცია, ისედაც ხომ ყველაფერი ნათელი იყო?

საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) რუსულ აგენტურას ხელმძღვანელობს თემურ ალასანია, მიხეილ სააკაშვილის ბიძა. ეს ადამიანი ერთ-ერთმა უცხოურმა ტელეკომპანიამ ასე დაახასიათა: "ადამიანი ბუნდოვანი წარსულით და გაურკვეველი აწმყოთი". მისი ე.წ. პოლიტიკური კრედოა — "თუ ქართველებს არ დაავჯვი, ისე აზრზე ვერ მოვლენ".

თემურ ალასანიას, ამ ბებერი ქოფაკის ოფიციალურ ბიოგრაფიას გრიფით "საიდუმლო" ადევს. თუმცა ყველა წყაროდან ჟონავს ინფორმაცია, რომ გრუ-ს (რუსეთის გენშტაბის სამხედრო-სადაზვერვო სამმართველო) მოქმედი ოფიცერია. მართალია, არსებობს ინფორმაცია, თითქოს ალასანია აშშ-ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მისი "კაგებეშნიკობის" გადაფარვის მიზნით არის გავრცელებული.

2018 წლის 18 თებერვალს თემურ ალასანიამ ინტერვიუ მისცა რუსულ ტელეკომპანია "НТВ"-ს, სადაც თვითონვე იშიფრება, ვინ არის და რას წარმოადგენს:

„მე პირველი მაიდნის დროსაც კიევში ვიყავი, როცა ვიქტორ იუშენკო აქტიურობდა. მასთანაც ვმუშაობდი, როცა იგი მიშას ინაუგურაციაზე მოვიდა. მაშინ იუშენკო ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი. მასზე ვიყავი მიმაგრებული. სხვათა შორის, ხშირად დრო კარგად გაგვიტარებია და თბილად გვისაუბრია. როცა აზერბაიჯანში ვხვდებოდით ან კიდევ სადმე, უკრაინელი ხალხის ბედზე მრავალი საათის განმავლობაში ვსაუბრობდით. პირველად, როცა ჩვენ მაიდნის დროს შევხვდით — მე, მიშა, პეტრო პოროშენკო და კიდევ ერთი პიროვნება, ეს იყო ღამის ორ საათზე, სასტუმროში. დილის ოთხ საათამდე ვისხედით და ვსაუბრობდით. მე ვიყავი პირველ მაიდანზეც და მეორეზეც, კონტრაქტები უნდა შესრულებულიყო“.

რა უნდოდა თემურ ალასანიას კიევურ "მაიდნებზე", რატომ იყო ვიქტორ იუშენკოზე მიმაგრებული, ვინ მიამაგრა, რატომ ხვდებოდა აზერბაიჯანში ან სხვა ქვეყნებში, რა კონტრაქტები უნდა შესრულებულიყო? ამ შეკითხვებზე პასუხი ერთია: ის "მაიდნებზე" მიამაგრეს კრემლიდან და როგორც შემდგომში ვნახეთ, კოჭი ალჩუზეც დაუჯდა, ყველაფერი გრუ-ს კონტრაქტების მიხედვით განხორციელდა. იმ აზრს, რომ მიხეილ სააკაშვილის ე.წ. ოჯახი მხოლოდ აგენტურულ ქსელს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს, საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძეც ადასტურებს: „საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის ოჯახი სპეცსამსახურებთან ტრადიციულად თანამშრომლობდა. დედამისი გიული ჩვენს აგენტად მუშაობდა. ბიძამისი თემურ ალასანიაც, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ასევე საბჭოთა კავშირის „კაგებე“-ს (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის) აგენტი გახლდათ“.

უკრაინამდე იყო საქართველო. 2003 წელი. ედუარდ შევარდნაძის გადაყენება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის ჩამოსვლა, საქმის გარჩევა, ხელისუფლების გადაბარება. რას აკეთებდა ამ დროს თემურ ალასანია? რა თქმა უნდა, კულუარებიდან ასრულებდა კრემლის დავალებებს. სხვათა შორის, ხშირად ამბობენ, რომ "ვარდების რევოლუცია იყო ამერიკული პროექტი", შეიძლება შეფერილობა ჰქონდა ამერიკული, მაგრამ ძირითადი საფუძვლები, ანუ როგორც ალასანია იტყოდა, კონტრაქტები გახლდათ რუსული.

და მაინც... რა ეწერა მაშინ კონტრაქტებში? იქ ეწერა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიტაცების შემდეგ საჭირო იყო კოდორისა და ახალგორის რაიონის ჩაბარებაც.ე.წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკების ტერიტორიული მდგომარეობა არ გახლდათ სრულყოფილი. ამ სიმაღლეებიდან კარგად კონტროლდებოდა მათი ბანაკები. ამავე დროს, რუსეთს აუცილებლად სჭირდებოდა საქართველოში ყველა სტრატეგიული ობიექტი. როგორ უნდა განხორციელებულიყო რუსებთან თემურ ალასანიას მიერ დადებული კონტრაქტები? რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით ვერ მოხერხდებოდა და სწორედ ამიტომაც გაითამაშეს 2008 წლის აგვისტოში ე.წ. ომი. ამისთვის მზადება დაიწყო რამდენიმე თვით ადრე, როცა კოდორის ხეობას უწოდეს ზემო აფხაზეთი. აი, ეს გახლდათ გარიგება კრემლთან ძალაუფლების სანაცვლოდ. როგორც ჩანს, რუსები 2012-შიც დაპირდნენ მიხეილ სააკაშვილს, ცოტა ხანს გაეცალე, უკრაინაში გადაგხვეწავთ, 2016-ში თუ არა, 2020-ში მაინც დაგაბრუნებთო. 2016-ში არ გამოვიდა, 2018-შიც არ გამოვიდა და აი, კიდევ ერთხელ ამოვარდა ქარიშხალი თემურ ალასანიას თავში.

ამ დღეებში (6 ნოემბერს), უკრაინულმა გამოცემამ **Obozrevatel.com**-მა გამოაქვეყნა ორი აუდიოჩანაწერი, საიდანაც ერთზე, მათი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიასა და გუბაზ სანიკიძის საუბარია ჩაწერილი:

„- გუბაზ, რაზე გაწუხებთ...

- კი.

- ივანიშვილმა კარგად გაუგო ქართველებს, ქართველ პოლიტიკურ სპექტრს, კარგად გაზომა და აწონა.

- ბატონო თემურ, ყველა შევა ჩემს გარდა. მე იქ არ შევალ, რა თქმა უნდა, აგერ ნახავთ თქვენ.

- დიდი ბოდიში. პირველი — არავითარი ლეგიტიმაცია ამ მთავრობას, მეორე — სრული სამოქალაქო დამოურჩილებლობა, სრული ნაციონალური მასშტაბით სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მესამე — არავითარი დიალოგი, არავითარი კოოპერაცია, არავითარი თანამშრომლობა, არავითარი... ანუ საერთოდ უნდა გაწყდეს ურთიერთობა ხალხსა და პოლიტიკურ სპექტრს შორის.

- აბა, რა,

- ბოდიში... მეოთხე — დროებითი მთავრობის შექმნა. სასწრაფოდ, სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს, რომ ნაციონალური გადარჩენის, ეროვნული გადარჩენის მთავრობა იქმნება, პარალელური მთავრობა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ხალხის წინაშე, თავის თავზე, მსოფლიოს წინაშე და იღებს ძალაუფლებას თავის ხელში. მეხუთე — მიმართვა მსოფლიოს ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ ჩვენ არ ვთხოვთ თქვენს მხარდაჭერას, უბრალოდ გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო გადარჩენის კომიტეტმა ხელში აიღო სრული ძალაუფლება და დღეიდან პასუხს აგებს ქვეყნის ბედზე ისევე, როგორც რეგიონში მშვიდობაზე, ისევე, როგორც შენარჩუნებას, ასე შემდეგ. "ვსიო"!

რატომ აირჩია თემურ ალასანიამ "ჯილად" გუბაზ სანიკიძე? პირველი — ის იმდენად დიდი ნაძირალაა, იკადრებს ყველაფერს, თუმცა არც იმდენი ავტორიტეტი აქვს და არც იმდენი გავლენა, რომ მართლა რევოლუცია მოახდინოს; მეორე — როგორც ავი ენები ამბობენ, გუბაზ სანიკიძე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო "დავერბოვკებული" იმ სტრუქტურის მიერ, სადაც მუშაობდა თემურ ალასანია. გავიხსენოთ მისი ბიოგრაფია: 1989 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1987–1988 წლებში იყო დამასკოს უნივერსიტეტის სტაჟიორი. ყურადღება მიაქციეთ დამასკოს უნივერსიტეტში "მოღვაწეობის" წლებს, ეს ის დროა, როცა კაგებეს ჩარევის გარეშე ქვეყნიდან ასეთი გასვლები არ ხერხდებოდა. იგივე ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ პატივცემული სანიკიძე ჩანერგილი იყო ეროვნულ მოძრაობაში. მოდით, თავი დავანებოთ წარსულს, რას აკეთებს დღეს და ვისთან არის შეკრული? პირდაპირ ვდებ ბრალს, ის ცდილობს, იყოს მეორე კიტოვანი, მაგრამ არც ზარბაზანი აქვს, არც ავტომატი და არც ჯარი ჰყავს, რომ გაიჭრას რკონში. საქმე გაჭრაზე რომ მიდგეს, სირბილის ტრაკიც არ აქვს, მალე იღლება, თბილისის გასასვლელშივე ჩაიფეხვება.

რა თქვა "ნაცების" ერთ-ერთმა ე.წ. ლიდერმა სალომე სამადაშვილმა ვიღაცასთან შინაურულ საუბარში? სრული სიმართლე... ეს ქალი ჯერ იმაზეა გაბრაზებული, თუ პარლამენტში არ შევალთ, უმუშევარი ვრჩებიო, რა ვქნაო, თავზე მძღნერი გადავისვაო? არა, სამადაშვილს თავზე მძღნერი ისედაც უსვია, მაგრამ მისი აზრით, თუ უმუშევარი დარჩება, უფრო მეტის წასმა მოუწევს. შემდეგ ამბობს, რომ საქართველოს სტაბილურობის გარანტი და ერთადერთი პროდასავლური ძალა ბიძინა ივანიშვილია, ხოლო სააკაშვილი დასავლეთის თვალში დესტაბილიზაციის წყაროა, დასავლეთმა მას ხაზი გადაუსვა და ამიტომ ოპოზიცია წარმატებას ვერ მიაღწევს. სწორედაც რომ ეგრეა, განა ჩვენ სხვა რამეს ვწერდით და ვამბობდით?

რუსული აგენტურა ძველი ტექნოლოგიებით, მეთოდებით და აზროვნებით იბრძვის. ბუნებრივია, ფულიც ბლომად იხარჯება, როგორც სააგენტო "კვირასთვის" მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო კრიმინალის ექსპერტი დავით ზვიადაური აცხადებს, სახელმწიფო გადატრიალებისთვის საქართველოში შემოტანილია 400 მილიონი დოლარი. ამ საქმეში ჩართულები არიან დავით კეზერაშვილი, გიორგი უდესიანი და რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი. ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობს გრუ-ს გენერალი თემურ ალასანია.

დავით ზვიადაურის თქმით, გადატრიალების გეგმაში აქტიურად არის ჩარეული თემურ ალასანია და მისი მეგობარი კოტე კემულარია. რუსეთში კემულარიას და ალასანიას ე.წ.„ კრიშა“ გახლავთ პატრუშევი, რომელიც მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ქართველ„ აჯანყებულებთან“:

"ახლა დიდი შანსია, მათი დაფინანსება 2021 წლის იანვრიდან შეწყდეს და ეს ბიზნესიც სხვებს ჩაუვარდეთ ხელში. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ გადატრიალება საქართველოში სწორედ ახლა და რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს".

ჩემი ღრმა რწმენით და დაკვირვებით, საქართველოში რუსული აგენტურა ბოლო დღეებს ითვლის. მოღალატეების ერთადერთი "კოზირი" არჩევნების გაყალბება უნდა ყოფილიყო, რის გამოც, თითქოს ქუჩაში ზღვა ხალხი გამოვიდოდა და ხელისუფლებას წალეკავდა... მაგრამ რევოლუციას 20-ლარიანი "შემიტინგეები" ვერ ახდენენ, ვერც დამყაყებული ტვინის მქონე გენერლები. ასე რომ, გაგრძელება იქნება, შემდეგ წერილებში უფრო კარგად გაგაცნობთ სერგო ორჯონიკიძის შთამომავლებს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ღია წერილივით ირმა ინაშვილს

დაო, ირმა, ამ წერილს არ მოგწერდი, რომ არა შენი ინტერვიუ "რუსთავი 2"-ზე. განა მოსაწერი არაფერი მქონდა? უბრალოდ ძველი მეგობრობის ხათრით თავს ვიკავებდი. ახლა კი ველარ ვიკავებ... უფრო სწორად, ველარ გაგიტარებ.

რაღა დაგიმალო და... ამ წინასაარჩევნო ბატალიებამდე მეგონა, ე.წ. ქართულ პოლიტიკაში ის "სუბიექტი" იყავი, რომელსაც, ასე თუ ისე, რეალობის შეგრძნება არ გქონდა დაკარგული. თურმე სულ ტყუილად მეგონა.

პირველად მაშინ დავაღე პირი, როდესაც დავით თარხან-მოურავი გამოვიდა ტელევიზორში და განაცხადა, არჩევნებს ჩვენ ვიგებთ, უმრავლესობით მოვდივართ, მთავრობას დავაკომპლექტებთო.

გამიკვირდა, გავოგნდი და გამეცინა!

მეორედ მაშინ დავაღე პირი, როცა თარხან-მოურავს შენც აჰ-

ყევი და იგივე გაიმეორე ძალიან ბევრი ქაღალდების ფონზე. მაგ ქაღალდებზე იძახი, ეს დოკუმენტებია, მილიონზე მეტი ადამიანი ჩვენი მხარდამჭერიაო. ამასთანავე, გამოკითხვა ჩავატარეთ, აუდიოჩანაწერებიც გვაქვს, ხელისუფლებას უპრობლემოდ ვიბარებთო.

ისევ გამიკვირდა, ისევ გავოგნდი, ისევ გამეცინა!

ამ ზაფხულს ლამის ყოველ მეორე დღეს მირეკავდნენ შენი პარტიიდან და რაღაცებს მეკითხებოდნენ: ნატო თუ ნეიტრალიტეტიო? ნეიტრალიტეტი კარგია, მაგრამ ეგ შეუძლებელია, ჩვენზე არ არის დამოკიდებული-მეთქი. ჩემი ახსნა და განმარტება არ აინტერესებდა დამრეკავ გოგოს, მისი მიზანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეევსო კითხვარი და ტელეფონი გაეთიშა. ხმას ვის აძლევთო? "ქართულ ოცნებას"-მეთქი. ჰო, კარგი, კარგად ბრძანდებოდეთო. მე არ ვიცი, ყოველ მეორე დღეს რომ მირეკავდნენ, ყოველ მეორე დღეს იწერდით ჩემს "ლექციას" და აარქივებდით? როგორც ჩანს, ვისაც დაურეკეთ, ყველა თქვენი მხარდამჭერი გეგონათ. მე პირადად იმ ციფრზე ვფიქრობდი, რაც საბოლოო ჯამში მიიღეთ (3%). არა, ეს ცოტა მეტიც კი მგონია, შენი პარტიის საარჩევნო სიას თუ გადავხედავთ, დაახლოებით 1,9% უნდა მიგეღოთ, შალიკოსთვის უნდა გეჯობნათ, მაგრამ ბევრითაც არა.

მესამედ მაშინ დავაღე პირი (და ეს იყო საოცრება), როცა "რუსთავი 2"-ის ეთერში განაცხადე, ჩვენი გამოკითხვების თანახმად 30-35% უნდა მიგვეღო, "ქართულ ოცნებას" 15% უნდა ჰქონოდაო.

ამაზე ამ წუთამდე ვიცინი, ველარ მაჩერებენ!

ესე იგი, ამდენი ჩამოფახფახებული რომ ჩაწერე სიაში, მაგათ უნდა მიეღოთ 35% და ბიძინა ივანიშვილის "სასტავს" სულ რაღაც 15 "პრაცენტი"? არადა, შენც ხომ იცი, ნებისმიერი ხელისუფლება 20%-მდე მხოლოდ საჯარო სამსახურებიდან იღებს ყოველგვარი დაშინებისა და ზეწოლის გარეშე!

ახლა კი ყველაზე მთავარი: შენ "რუსთავი 2"-ის ეთერში წამოიძახე, ბიძინა ივანიშვილზე უსამართლო ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავსო.

რატომ არის ბიძინა ივანიშვილი უსამართლო, რა დაპირება მოგცა ისეთი და არ შეგისრულა?!

აი, მე კი ვფიქრობ, რომ იმაზე მეტი შეგისრულა, ვიდრე დაგპირდა. სიტყვა "დაპირება" პირობითია, უბრალოდ შენ ჩათვალე, რომ სააკაშვილთან ბრძოლისა და ციხის კადრების სანაცვლოდ პარლამენტში რამდენიმე მანდატი დაიმსახურე. კაი, ეს გასაგები იყო და რაც გააკეთე, დაგიფასეს, მაგრამ ბოლოს იმაზე მეტი მოინდომე, ვიდრე გეკუთვნოდა... ან ამ მეტისთვის "ბაგაჟი" გქონდა.

მოდი, პირდაპირ გეტყვი, ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე: როგორ ფიქრობ, რატომ უნდა მოეცა შენთვის და შენი პარტიისთვის საქართველოს მოსახლეობის 35%-ს ხმა, რატომ უნდა გადმოებარებინა ძალაუფლება ბიძინა ივანიშვილს, უნიკალური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოუყარე თავი თუ ჭკუით დატენილი ახალგაზრდები გამოიყვანე ასპარეზზე? შენი და თარხან-მოურავის ე.წ. პოლიტიკური ამბიცია არის არაფერზე დაფუძნებული. დიახ, არაფერია, საპნის ბუშტია!

რა გინდა, დაო, ირმა?!

2016-ში ისეთი ხალხი შერეკე პარლამენტში, მთელი ოთხი წლის განმავლობაში მაცინე... ჰო, აი, ყველა-ყველა, მაგრამ ნატო ჩხეიძე რამ ჩაგაწერინა "სპისოკში"? თუ არ ვცდები, მისი ქმარი – ზაზა ოქუაშვილიც გყავდა, ოღონდ აჭარის უმაღლეს საბჭოში. არა, მესმის, ჩვენში ე.წ. პოლიტიკა ბიზნესია, მაგრამ როცა შენს "სასტავში" ამდენი "ხაშალია", მერე ნუ გაქვს პრეტენზია, ხელისუფლება გადმომაბარეთო.სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილი უსამართლო და უმადური ადამიანი რომ იყოს, შენ და შენი გუნდი პარლამენტში ვერ მისუნავდით.

სხვათა შორის, ყველაფერს წარმოვიდგენდი (ხათ(ქ)უნა გოგორიშვილის განცხადებასაც, არჩევნების გაყალბება არავის შერჩებაო, რომ იძახის), მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ბოსტანში თუ დაიწყებდი კენჭების სროლას – ამას ვერა. ახლა არ თქვა, ჩვენ დამოუკიდებლად ვიბრძვით, ბიძინა ივანიშვილმა გაყალბებისთვის პასუხი უნდა აგოსო. ვინ, ვინ და შენ ყველაზე კარგად უნდა იცოდე, რომ ამ ქვეყანაში (2003 წლიდან მოყოლებული) არჩევნებს აყალბებს "ნაციონალური მოძრაობა". ეს უდღეურები დღეს ხშირად ტრაბახობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში 800 ათასი ხმა მივიღეთო. ჯერ ერთი, ოფიციალურად 600 ათას რაღაცა ხმა მიიღეს და მეორეც – ისე აყალბეს, 300 ათასზე მეტი არ უნდა ჰქონოდათ. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში გვყავს 300 ათასი ავადმყოფი, რომელსაც სიკეთეზე აქვს ალერგია. ამ ადამიანების ჰობია წართმევა, რევანში, სისხლისღვრა და ყველანაირი უბედურება.

და მაინც... შეიძლება იყო მცირეოდენი გაყალბება, შეიძლება ცოტა მეტიც, შეიძლება ვიღაცას ხელი წაუცდა, შეიძლება ვინმემ ოქმი ვერ დაწერა სწორად, მაგრამ დამიჯერე, ეს დარღვევა მაინც ვერ მოგანიჭებს იმის უფლებას, რომ ივანიშვილმა... უფრო სწორად, "ქართულმა ოცნებამ" კაპიტულაცია უნდა გამოგიცხადოს.

მოდი, გავყვეთ შენს ლოგიკას და მომავალი პარლამენტის კონფიგურაცია დავალაგოთ, ანუ განვიხილოთ: ესე იგი, "პატრიოტთა ალიანსის" დავთრების მიხედვით, თქვენ გაქვთ 30%-ზე მეტი, "ნაცმოძრაობას" აქვს დაახლოებით ამდენივე, დანარჩენ ნაგავსაც ამდენივე, რა გამოდის, უკეთეს შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს სვამთ სათადარიგოთა სკამზე, უარეს შემთხვევაში კი აძევებთ ქვეყნიდან და იღებთ რას, კოალიციას ვისთან, "ნაცმოძრაობასთან" და დანარჩენ ნაგავთან? ასე გამოდის, 15%-იანი "ოცნება" ველარ იქნება გამწევი ძალა, თქვენ იძულებული გახდებით, შეეკრათ ბოკერიას, შმოკერიას და სააკაშვილს. თუ შენ (თქვენ) მართლა ებრძვი "ნაციონალებს" და მათ ანასხლეტებს, მაშინ "ოცნების" გარეშე რჩები მარტო. აქ საკითხი დგას ასე... ან იქნები სააკაშვილის "პადელნიკი", ან კიდევ ფეხებით ჩამოგკიდებენ კაკლის ტოტზე, გაგატყავებენ და მარილსაც დაგაყრიან.

ბიძინა ივანიშვილი არის უსამართლო? ასეთი უსამართლო ცხოვრებაში არავინ გინახავს? არც სააკაშვილი, არც ბოკერია, არც ადეიშვილი, არც სხვა სისხლისმსმელები?

დაო, ირმა, კარგად დაფიქრდი, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ვერც შენ მიაღწევდი პარლამენტამდე და ვერც ის ზოგიერთი "ჩოხანი" მიაღწევდა, შენ რომ "სპისოკში" ჩაწერე. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, "ნაციონალები" ისევ ზენიტში იქნებოდნენ და შენ ბიუჯეტის ხარჯზე მილიონებს კი არ შეეთამაშებოდი, "ობიექტივში" ისევ ერთი 200-ლარიანი კამერა გექნებოდა და "თავო ჩემო"-ს იმღერებდი.

გეყოფათ შენ და თარხან-მოურავს, ნუ აგივარდათ თავში, ნუ გაგეზარდათ მადა, ნუ ეპოტინებით ძალაუფლებას მაშინ, როცა სააამისოდ არანაირი მონაცემები არ გაგაჩნიათ.

ახლა ერთ საჩოთირო საკითხსაც უნდა შევეხო... საზოგადოებაში ხშირად ისმება შეკითხვა: როგორ ხდება, რომ "პატრიოტთა ალიანსს" აქციებზე გამოჰყავს ათასობით ადამიანი და ამავე დროს ვერც ერთ არჩევნებზე 3%-ზე მეტს ვერ იღებს? ლოგიკური შეკითხვაა, მართლაც რასთან გვაქვს საქმე, დავიჯერო, ხელისუფლება ამდენს გიყალბებთ? არა მგონია, შენ და თარხან-მოურავს გინდათ თუ არა (და ნეტავ რატომ არ უნდა გინდოდეთ?), ყოველთვის მოიაზრებოდით "ქართული ოცნების" დანამატად და თქვენს აქციებზე მოდიოდნენ იგივე "ქართული ოცნების" მხარდამჭერები. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის ფაქტორიც, რომ ცეცხლი გქონდათ გახსნილი "ნაციონალების" წინააღმდეგ. სამწუხაროდ, თქვენ წინასაარჩევნო პერიოდში ღიად შეუტიეთ მმართველ პარტიას – გეგონება უკვე გაინაღდეთ და ზემოდან დაუწყეთ ყურება. ისე, ჩვენში დარჩეს... თქვენი აქციების სიმრავლეში "ოცნების" ხელიც ხომ არ ერია? რაღაც ლეგიტიმური ეჭვები მიტრიალებს თავში და დავიჯერო, ვცდები? არა მგონია!

დაო, ირმა... ბოლო დღეებში ყური მოვკარი, თურმე 20% გქონია და ბიძინა ივანიშვილმა მოგპარა, "ნაცებს" 38% ჰქონიათ, შალიკოს – 10%, ლელოს – 7%, ელისაშვილს – 5%, ვაშაძეს – 8% "ევროპულს" – 12%, "გირჩს" – 5%, ბურჯანაძეს – 6%, დანარჩენებს – 2–2%. დასხედით, შეაჯამეთ, 113%-ს გადასცდით, არ გყოფნით. ცოტა ხანში გამოაცხადებთ, "ქართულმა ოცნებამ" 3% მიიღოვო, საერთოდ რომ ამოვარდით გრაფიკიდან, ატყობთ?

P.S. ირმა, დაო, თქვენ გააუქმეთ საპროტესტო აქციები. ეს კარგია, ვფიქრობ, ცოტაოდენ გონს მოხვედით, მაგრამ როცა გაყალბებაზე და 30%-ზე ლაპარაკობთ, ისევ მეცინება.

პატივისცემით,
გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„ნაცმოძრაობამ“ თითქმის ყველაფერი გაყიდა და გაასხვისა. რა გაყიდა, რა გაასხვისა, რა დაკარგა ბიძინა ივანიშვილმა, იქნებ მითხრას ვინმემ?!

გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური“ მოძრაობის ხელმძღვანელი ბესო მიქავა

— ბატონო ბესო, შექმნილი ვითარების მიხედვით, რას უნდა მოველოდეთ?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. 1991 წლის 28 ოქტომბერს მე წავედი არჩევნებზე და მივეცი ხმა ეროვნულ მოძრაობას — „მრგვალ მაგიდას“, მაგრამ ის ხელისუფლება იქნა დამხობილი.

მაშინ მე თავზე დამამხეს ჩემი ხმა და ჩემი ნება.

დღეს რომ გაჰყვირიან, ხმები წაგვართვესო, სად წავიდა მაშინდელი ჩემი ხმა, დამიბრუნა დღემდე ვინმემ? — არა.

ბურჯანაძე გამოდის და იძახის: არჩევნების გაყალბება, ეს არის სახელმწიფოს დამხობის ტოლფასიო.

კანონიერად არჩეული ხელისუფლების იარაღით დამხობა დემოკრატიაა?

რა უკვირთ ახლა, ეს მაინტერესებს.

ყველა, ვინც მონაწილეობდა ახლანდელ არჩევნებში, მათი უმრავლესობა არიან ის პარტიები და პარტიული სუბიექტები, რომელთა თვალწინაც წლების განმავლობაში ხდებოდა გაყალბებების უპრეცედენტო შემთხვევები. შუქის გათიშვებს კი არ ვგულისხმობ მხოლოდ, არამედ ავტომატებით თავდასხმებს, ყუთების მოპარვას, წართმევას და ბეტეერებით მივარდნას საარჩევნო უბნებთან.

ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა არჩევნები, მაშინ ამ არჩევნების შედეგებით რა გამოდის, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი თავის წინააღმდეგ გააყალბა არჩევნები?

თუ ვინმემ გააყალბა, ეს ოპოზიციის გაყალბებული და ოპოზიციის მიერ მიტაცებული ხმებია სხვადასხვა მანიპულაციებით და ახლა ყვირიან, ისე, როგორც ქურდს კუდი ეწვისო.

ეს აპრობირებული მეთოდი გახდა უკვე მსოფლიოში, როგორც ბელორუსში იყო აურზაური, როგორც ვენესუელაში, მსოფლიომ რომ აღიარა პრეზიდენტად არჩევნებში დამარცხებული კანდიდატები.

აქაც იგივეს განმეორება უნდათ, მაგრამ არ გამოუვა არავის. ჩვენ, მოსახლეობა და ხალხი ამას არ დავუშვებთ.

— მაგრამ ხალხის ნაწილი ხომ მათ მხარეზეა?

— მათ გასაგონად ვიტყვი: ვინც მხარს უჭერთ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, **გაიხსენეთ, ვინ არიან ისინი — ეს ის ხალხია, ვინც გაყიდა და გაასხვისა ქართული მიწები, დავით გარეჯი დაუკანონა უსამართლოდ სხვას, გაყიდა ენერგოობიექტები და სტრატეგიული მნიშვნელობის ქონება რუსეთზე, ტერიტორიის 20% დაკარგა და ამის საპირწონედ, რა გაყიდა, რა გაასხვისა, რა დაკარგა ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“, მითხრას რომელიმე მათგანმა.**

ტერიტორიების და სხვა ქართული სიმდიდრეების გაყიდვით მიღებული ფულით ჩადის ე.წ. ოპოზიცია დღემდე დესტრუქციულ და მოღალატურ საქმიანობას საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ხსნიან დეზინფორმაციული შხამების გამომყოფ, ცრუ პროპაგანდისტულ ტელევიზიებს, აწყობენ საბოტაჟს, ებრძვიან ჩვენს სახელმწიფოს, დააკვირდით, თუ ასე არაა.

ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქიო, ბატონებო, ბიძინა ივანიშვილზე გაცილებით მეტი ფული აქვს ოპოზიციას ერთად აღებულს და ეს ფული წაღლეტილია ჩვენი ბიუჯეტიდან, ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი შიმშილის და სიდუხჭირის ხარჯზე აქვთ ეს ფული ნაშოვნი, თორემ ბიძინა ივანიშვილი სანამ პოლიტიკურ პროცესებს ჩაუდგებოდა სათავეში, მანამდე ჰქონდა ფული, დააკვირდით საკაშვილს, ბოკერიას, უგულავას, ოქრუაშვილს და სხვებს და სხვებს, იგივე ნათელაშვილს, სანამ პოლიტიკაში მოვიდოდნენ, ჰქონდათ ამდენი ქონება?

თქვენ თქვით, ხალხი უჭერს ე.წ ოპოზიციას მხარსო, ჩვეულებრივი, უბრალო მოქალაქე ამათ

მხარს არ დაუჭერს. მხარდასაჭერად გამოდიან მათი მეგობრები მატერიალური ინტერესებით, მათი ნათესავები, პარტიის წევრები და ზოგიერთი უსაქმო, სეირის მაყურებელი და ფულით მოსყიდული ხალხი. აი, ესაა მთელი მიტინგი.

შეგიძლიათ შეამოწმოთ, გადაიღოთ ფოტოები, თუ ერთი და იგივე ხალხი არ იქნება აქციებზე.

დარწმუნებული ვარ, ქართველი კაცი, მამულიშვილი, ქვეყნის მოყვარული ადამიანი იმ აქციაზე არ მივა.

სამწუხაროა ის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მკვდარი ორგანიზმი, „მოქალაქეთა კავშირი“ და მისი ნარჩენები გააცოცხლა და რეანიმაცია გაუკეთა კოჰაბიტაციით.

კოჰაბიტაციის, ამ უკანონო კავშირის შედეგად, ჩაისახა ახალი ორგანიზმი, რომლის დაბადება და გაჩენა ვერ ხერხდება და საკეისრო კვეთაა საჭირო, ხელოვნური გზით, რადგან ყველაფერი უკანონოდ ჩასახული არაბუნებრივად იბადება.

— ახლა რას უნდა ველოდეთ?

— დიდი ხანია ვამბობ, რომ „ნაცმოძრაობა“ უნდა აიკრძალოს. გავყვიროდი: არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ უნდა მივცეთ-მეთქი.

თავად ხელისუფლებაც ამბობდა, რომ ეს იყო დამნაშავეთა ჯგუფი, მაშინ პროკურატურამ რატომ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ან ამის მთქმელზე, ან თავად კრიმინალურ ორგანიზაციაზე?

დავით გარეჯი გაყიდეს — აქ პოლიტიკაზე აღარაა საუბარი, ეს სს დანაშაულია და დამტკიცების შემთხვევაში, კანონი მოითხოვს დასჯას ქვეყნის ტერიტორიის გაყიდვის ბრალდებით.

ქალბატონი კალანდაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, აცხადებდა, გარეჯი აზერბაიჯანის ტერიტორიაა. რით განსხვავდება მისი განცხადება, მაგალითად, „ჯავახკის“ განცხადებებისგან ან ოსი სეპარატისტების სიტყვებისგან?!

მე, როგორც იცით, 90-იანი წლებიდან პოლიტიკურ მოძრაობებში ვარ და ცოტა რამ გამეგება აქციების და — როდესაც პარტია ან პარტიათა ჯგუფი მილიონნახევრიან დედაქალაქში ვერ აგროვებს რამდენიმე ათას მომიტინგეს, ვსვამ კითხვას: როგორ აიღეს ის ხმები, რომელზეც დღეს დაობენ და აჯანყებებს აპირებენ? რაში სჭირდებათ რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა თუ ამხელა ქალაქი მხარს უჭერთ? სადაა აქ ლოგიკა?

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

2003 წლის ნოემბერი – 17 წლის წინათ, ზუსტად ისე, როგორც დღეს

ყველა და ყველაფერი თავისი წარსულიდან მოდის. თავისი წარსული ახასიათებს, როგორც მოვლენას, ისე ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს.

„ნაცმოძრაობის“ წარსული კი ასე იწყებოდა:

2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. 7%-იანი ბარიერი ხუთმა სუბიექტმა გადალახა. მთავრობის სახლის წინ პერმანენტული აქციები დაიწყო გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად.

7% ბარიერგადალახული პარტიების მონაცემები ასეთი იყო:

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 28,9%.

დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 8,13%.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 26,6%

ლეიბორისტული პარტია – 17,35%

ბურჯანაძე-დემოკრატები – 10,15%

ახალი მემარჯვენეები – 7,99%.

დააკვირდით შედეგებს, როგორც ახლა, მაშინაც არ ჰქონიათ მცირე შედეგები, მაგრამ დესტაბილიზაცია სურდათ მაშინ, როგორც ახლა.

ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე შევარდნაძეს შეხვდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან.

სააკაშვილი, როგორც ყოველთვის, არაკორექტული აღმოჩნდა. ის გამოიქცა შეხვედრიდან, ეგზალტირებული მომიტინგეების მასას შეუერთდა და ასეთი განცხადება გააკეთა:

მიხეილ სააკაშვილი: – „მე დავტოვე შეხვედრა დროზე ადრე, იმიტომ რომ, შევარდნაძემ განმიცხადა, რომ არ სურს ჩემთან მუშაობა. მე მინდა განვაცხადო, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ მოგვიყვანა აქ დროის გასაყვანად. პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს, შეუთანხმდა უკვე პუტინს და ასლან აბაშიძეს, მოახდინოს საქართველოში ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და არჩევნების გაყალბების საბოლოო დაკანონება.

მე გავაფრთხილე პრეზიდენტი, რომ მას ქვეყანა მიჰყავს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, კონფლიქტისკენ და უბედურებისკენ. საკუთარ ხალხს ეუბნება არჩევანზე უარს. ამის პასუხად შევარდნაძემ მომიგო, რომ მას არანაირი სურვილი არ აქვს ჩემთან მუშაობის გაგრძელების“.

ნინო ბურჯანაძე: „არ ვიცი, ხვალ თუ იქნება კონკრეტული წინადადებები შემოთავაზებული ხელისუფლების და პრეზიდენტისგან, პრეზიდენტმა თქვა, რომ ის ამაღამ დაავალებს შესაბამის

ადამიანებს, რომ გაერკვეს ვითარებაში და ხვალ იქნება ალბათ მზად პასუხისთვის“.

ზურაბ ჟვანია: „მე უნდა გითხრათ, რომ დღეს პრეზიდენტი აშკარად არ იყო მზად საუბრისთვის. პრაქტიკულად, ძალიან მწვავედ და პირდაპირ, ვინც ვესწრებოდით ამ შეხვედრას, დავუფიქსირეთ პრეზიდენტს, რაც მოხდა 2 ნოემბერს საქართველოში ვერანაირად ვერ შეფასდებოდა, როგორც არჩევნები...

იმის მიუხედავად, რომ ბოლოს მოხდა შელაპარაკება მასა და სააკაშვილს შორის, ჩვენ შევყოვნდით იმის გამო, რომ ეს მოულოდნელად მოხდა, პრეზიდენტმა ითხოვა დრო, რომ გაგრძელდეს კონსულტაციები“.

ედუარდ შევარდნაძე: „... მე შევთავაზე ოპოზიციას, მობრძანდით და ერთად გავერკვიოთ და მე ვრწმუნდები, რომ მარტო ჩემი ცოდნა, მარტო ჩემი წვდომა სიღრმეში, საკმარისი არ არის...

მე მინდა იცოდეთ, რომ პრეზიდენტს აქვს არჩევნების დანიშვნის უფლება, მაგრამ არჩევნების გაუქმების უფლება, არ მაქვს. ამიტომ, როგორც დღეს თქვეს, გავაუქმოთ, ახალი დავნიშნოთ, ამის საფუძველი მე არ მაქვს.

მე ვფიქრობ, ძირითადი მიზანი არის პრეზიდენტის გადადგომა. გვინდა თუ არ გვინდა, ეს ასეა. რაც მე გავაკეთე, ამას არც ერთი პრეზიდენტი და ქვეყნის მეთაური არ აკეთებს. ხალხში ისმოდა: გადადექი-გადადექი! ერთი შეკითხვაც არ დაუსვამს არავის ჩემთვის. მეც ხომ ადამიანი ვარ, ამდენი შეურაცხყოფა?! ამ ხნის კაცი ვარ, 76 წლის კაცი.

მიხეილი მეუბნებოდა, მე ვარ ამა და ამ პრემიის ლაურეატი, უნივერსიტეტების კურსდამთავრებული და რაღაცა და რაღაცა, მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი...

ქუჩაში არჩევნების საკითხი არ გადაწყდება. არსებობს ცსკო, ადგილობრივი კომისიები, სასამართლო, არ დაველოდოთ მათ გადაწყვეტილებებს და გამოვიტანოთ განაჩენი, რომ ეს გაუქმდეს, ის გაუქმდეს?!

მე კიდევ შევხვდები, როცა მოისურვებენ, თუ წონასწორობიდან არ გამომიყვანეს. თქვენ იცით, მე უზრდელი კაცი არ ვარ, მიხეილს ეხერხება წონასწორობიდან გამოყვანა და მე არ ვიცი, რა ვქნა, ღმერთმა შეარგოს ეს თვისება. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილთან კამათი და მსჯელობა ძალიან ძნელია, კიდევ შევხვდე ერთჯერ, ორჯერ, ხუთჯერ, ოღონდ დაძაბულობა მოიხსნას“.

მიხეილთან, როგორც შევარდნაძე ეძახის, საუბარი მართლაც არ აღმოჩნდა ადვილი. მას უკვე ჰქონდა დაგეგმილი რევოლუციური სცენარი – პარლამენტში შეჭრა და იქ რაც მოხდა, ყველას კარგად ემახსოვრება – მიხეილის თავზეხელაღებული ამფსონები შევარდნენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, გააძევეს პრეზიდენტი, დალეწეს სკამები, დაფლითეს დოკუმენტაცია, ფეხებით შედგნენ მაგიდებზე...

ამას არ ერქვა და არც შეიძლება რქმეოდა, არც ერთი სტანდარტით, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება. შევარდნაძე იძულებული იყო, რადგან მიხეილი იმუქრებოდა, სისხლი დაიღვრებაო და იყო ამის გამკეთებელი, მაგრამ, როცა ამ გადატრიალებას „ვარდების რევოლუციას“ უწოდებენ, ამით ხომ თვალებში მტვერსა და ნაცარს აყრიან ხალხს?!

კიდევ კარგი, რომ სისხლი არ დაიღვარა, მაგრამ „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლება ძალადობრივი გზით გადაიბარა. ეს მზესავით ნათელია. ხოლო ძალადობრივი გზით განხორციელებული ნებისმიერი საქმე, შეუძლებელია გაგრძელდეს ან დაგვირგვინდეს სიყვარულით და მშვიდობით და კიდევაც ვიხილეთ ძალადობით მოსულთა ძალადობრივი მმართველობა...

ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. კარგად კი არა, საერთოდ არ დაგვიწყებია ის ისტორია, რაც 2003 წელს მოხდა, მაგრამ რა აზრი აქვს არდავიწყებას, თუ ძველი შეცდომებიდან საჭირო დასკვნები არ გამოვიტანეთ?!

მშვიდობით და სტაბილურობით შეიძლება ქვეყნის გადარჩენა და არა რევანშით და რევოლუციებით.

ეს ქვეყანა ჩვენი სამშობლოა!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რა გავაანალიზო და ვისზე უნდა ვილაპარაკო – გადამტრიალებელ-გადმომტრიალებლებზე?

გვესაუბრება ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე

— ბატონო ამირან, რას ფიქრობთ, რა სურს ოპოზიციას?

— ოპოზიციას სურს ხელისუფლებაში მოსვლა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მეორე მხარეა, რამდენად არსებობს ამის სამართლებრივი საფუძვლები.

არჩევნებს აკვირდებოდა ევროპის უმაღლესი სადამკვირვებლო ორგანოები — ეუთო/ოდირი და ევროპის სადამკვირვებლო კომისიის წარმომადგენლები. ამათ გარდა ვინ უნდა მოახდინოს არჩევნების შეფასება არ მესმის, მაგრამ ესენი ამბობენ, რომ არ სცნობენ არჩევნების შედეგებს, როცა აწყობთ — ცნობენ, არ აწყობთ — არ ცნობენ და თითს იშვერენ ევროპისკენ და დასავლეთისკენ.

სადამკვირვებლო კომისიამ მკაფიოდ განაცხადა, რომ არჩევნები ჩატარდა დემოკრატიულად, კონკურენტუნარიანად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვით.

არჩევნები შემდგარად ჩათვალეს და მოუწოდეს მხარეებს, შეუდგნენ საპარლამენტო საქმიანობას. სადაო საკითხები კი გადაწყვიტონ სამართლებრივად. ასე ხდებოდა ყველგან, მთელ მსოფლიოში. ყველა ვხედავთ, რა ხდება ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. იქაც იყო წინააღმდეგობები, ოღონდ სამართლებრივ ჭრილში. რაღაც ეტაპზე შეწყდება იქ სასამართლო დავები და საბოლოდ რა შედეგებიც გამოიკვეთება, ის იქნება გადამწყვეტი და არა ის, როგორც ჩვენთანაა — ყოველ არჩევნებზე რევოლუციური სცენარები წამოსწიონ და ახალი არჩევნები მოითხოვონ.

არსებობს სახელმწიფო ამბოხი, რაც, ტრადიციულად, იხარშება ზოგიერთების თავებში, ეს მორიგი უკრაინული „ფარული“ ჩანაწერიც სულ არ ყოფილა მოულოდნელი.

მაგრამ ვინ უთხრა მაგათ, რომ ესენი, ეს ვითომ ოპოზიციონერები, არიან ქვეყნის მომავლის განმსაზღვრელები?

მოსახლეობის უმეტესობას მშვიდი ცხოვრება უნდა. ეს უნდა იცოდნენ ახალი რევოლუციის მსურველებმა.

რაც დღეს პოლიტიკურ არენაზე ხდება, პრიმიტივია. ანალიზიც არ ღირს ამის. რომ გავაანალიზო, ვისზე ვილაპარაკო — გადამტრიალებელ-გადმომტრიალებლებზე?!

პოლიტიკური პარტიები უნდა შევიდნენ პარლამენტში და გააგრძელონ პოლიტიკური დავები.

ესაა გზა განვითარებისკენ, თუ არ გვინდა, მუდმივად ყირგიზეთის და სხვა ამ ტიპის ქვეყნების მსგავსად ქრონიკული რევოლუციების პირობებში ვიცხოვროთ.

ეუთო/ოდირმა დადო დასკვნები ნაკლოვანებების თაობაზე. ეს ის ნაკლოვანებებია, რომელიც მოგვყვება ჩვენ მთელი ამ 30 წლის განმავლობაში, თუმცა ამჟამინდელი შეფასეები გაცილებით უკეთესია, წინასთან შედარებით.

როგორც კი ოპოზიციამ განაცხადა, რომ არ ცნობს ეუთო/ოდირის შეფასებას და აგრძელებს პრეტენზიების წამოყენებას, ვსვამ კითხვას: დავუშვათ, მიაღწია ოპოზიციამ რიგგარეშე არჩევნებს, ვინ მოგვყავს დამკვირვებლად — ეუთო/ოდირი თუ დსთ-დან ჩამოვიყვანთ დამკვირვებლებს, ან აფრიკიდან?

ეუთო/ოდირის დასკვნას თუ არ ენდობიან, ვინ იქნება ჩვენი განსმჯელი?! თუ თავად ჩაატარებენ არჩევნებს, ძალა, რომელიც მუდმივად აყალბებდა არჩევნებს?

ყველას გვახსოვს 2008 და 2012 წლის შეფასებები, როგორც ეუთო/ოდირის, ასევე ენ-დი-აი-ს.

თავისი დღის წესრიგის მოხვევა უნდათ თავზე და არ გამოვა ეს. ასე ჩვენ ნორმალურ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

— ოპოზიციური პარტიები ერთი ადამიანის — მიხეილ სააკაშვილის დაწყებულ თამაშს ხომ არ თამაშობენ, ზოგი გაცნობიერებულად ზოგი — გაუცნობიერებლად?

— ყველა თამაშობს ერთი პოლიტიკური პარტიის თამაშს და არ აქვთ ელემენტარული თავმოყვარეობა, რომ იყვნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშეები. ყველა, რომლებმაც გადალახეს ბარიერი, მიშას დაკრულზე ცეკვავენ.

იმ ერთმა პარტიამ ერთი რევოლუციის დროს ჩაყლაპა ყველა პარტია და ეს უნდა გაითვალისწინონ.

— და ახლა პირდაპირ აჯანყებისკენ მოუწოდებენ ხალხს.

— მე არ ვიცი აჯანყება უნდათ თუ გადატრიალეება, ამისთვის არის სათანადო ორგანოები და ისინი გააკეთებენ შეფასებას.

ნორმალურმა სახელმწიფომ უნდა იცხოვროს არჩევნებიდან არჩევნებამდე და თუ რაიმე ნაკლოვანებები არის, უნდა გამოვასწოროთ.

რაც შეეხება რევოლუციურ გზას, რას ვიღებთ აქედან? კარგი რა მივიღეთ, ან რომელიმე ქვეყანამ კარგი რა მიიღო რევოლუციებით.

— პარლამენტში რომ არ შევიდნენ, რა ხდება ასეთ შემთხვევაში?

— მათ მაგივრად მე ვერ ვილაპარაკებ. მე არ ვემხრობი „ქართული ოცნების“ ზოგიერთ ლიდერის განცხადებებს: ადრეც ამბობდნენ არ შევალთო და მაინც შევიდნენ და ა.შ. არ შეიძლება ასე ლაპარაკი. უნდა დაჯდნენ და უნდა ისაუბრონ. დიალოგი უნდა ჰქონდეთ პოლიტიკურ მოთამაშეებს ერთმანეთთან.

თუ არ შევიდა პარლამენტში ოპოზიცია, შევა მხოლოდ „ქართული ოცნება“. 50%-ზე მეტს მოაგროვებენ, სცნობენ 2/3. ეს არის ახალი კონსტიტუციური ნორმა და პარლამენტი შეუდგება საქმიანობას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მიშა ჩამოალაბორანტეს – „ნაცმოძრაობას“ ახალი ლიდერი ჰყავს – ნიკანორ მელია!

ძირს მიშა! გაუმარჯოს ნიკანორს!

ამიერიდან ამ კაცისთვის „გუბოზის“ დაძახება არავინ გაბედოს!

შემომაქვს წინადადება — ეწოდოს მას „გუბაზ-მართალი“ და ამ საპატიო წოდებით შევიდეს იგი ოპოზიციის შავ-ბნელი საქმეების ამსახველ წიგნში, რომელსაც სულ მალე გამოცემს გამომცემლობა „ჩემი შენ გითხარიო“.

„გუბაზ-მართალმა“ ეს საპატიო ტიტული ნამდვილად დაიმსახურა იმ სიმართლისთვის, რომელიც მან ნიკუტა გვარამიას ღია ეთერში პირდაპირ პირში მიახალა პირგამეხებულ ნიკანორ მელიას, რის გამოც, როგორც ამბობენ, კადრს მიღმა, კულისებში, კარატისტი ნიკანორისგან სილა იწვნია.

კარატისტი ნიკანორი სილის გაწვნას არ დასჯერებია, — იოხხ, დაუძახნია, ციბრუტივით დატრიალებულა და მარჯვენა ფეხით „გუბაზ მართალის“ ნოკაუტში ჩაგდება განუზრახავს, მაგრამ, საბედნიეროდ, აუცდენია.

შავი ქამარი მაქვს, ესაო, ისაო, რომ იძახდა ეს ნიკანორი, კაცი რომ გუბაზს ფეხს ვერ მოარტყამს, აბა, ის რა კარატისტია, მაგრამ იყოს, როგორც არის.

იცით, რას ვფიქრობ, მეგობრებო? პატ. გუბაზს „გუბაზ-მართალი“ კი არა გუბაზ გულუბრყვილო ხომ არ ვუწოდოთ?

„გუბაზ-გულუბრყვილო“ ვერ მიმხვდარა, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველი ელიტის დიდ ნაწილს სულაც არ უნდა საკაშვილის ჩამოსვლა საქართველოში.

მათ ძალიან აწყობთ ის სიტუაცია, რაც დღეს არსებობს — საკაშვილი „ბუად“ ჰყავთ უკრაინაში მოყუჩებული და ხან „ქართულ ოცნებას“ აშანტაჟებენ დღედღეზე ჩამოვაო, ხან მიშას აზროვნებადაკარგულ ფანატებს აიმედებენ: ხვალ თუ არა ზეგ მიშა ჩამოდის და ივანიშვილს და მის მხარდამჭერებს კუდით ქვას ასროლინებსო.

მიშა სპეციალურად შეთხზული მითია, ლეგენდაა და ამ მითის თუ ლეგენდის რეალობაში დაბრუნება ყველაფერს დაამსხვრევს და „გააფარჩაკებს“.

მიშას დაბრუნება ნიშნავს მის დაუყოვნებლივ მოთავსებას გლდანის ციხეში ან „მატროსოვზე“, ციხეში მჯდარი მიშა კი ერთ თუ არა ორ კვირაში ისე აყროლდება და გაფუჭდება, რომ ადამიანი ახლოს ვერ მიეკარება.

მიშა ის კაცი არ არის, ციხეში ჩასასმელად რომ ივარგოს — ან საბოლოოდ გარეკავს, ან ციხეს რომ თავი დააღწიოს, პირს მოაღებს და ყველას ჩაუშვებს დაწყებული საკუთარი ბიძიდან და ცოლიდან, დამთავრებული მერაბიშვილით და ბოკერიათი.

თუმცა მხოლოდ შინაურებით არ დაკმაყოფილდება სუსტნერვებიანი მიშა — საერთაშორისო დონის პარტნიორებს და მეგობრებსაც აუცილებლად გაიხსენებს აღსარებაში და ისეთ შემაძრწუნებელ საიდუმლოებებს ახდის ფარდას, მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებს თავზარს დასცემს.

სანამ ივანიშვილია ხელისუფლების სათავეში, მიშა საქართველოში ჩამოსვლას ვერ გაბედავს.

მას უნდა თვითონ შორს იყოს, უშიშრად და უსაფრთხოდ, ხელისუფლება სხვებმა დაამარცხონ, სხვები ეკვეთონ და სხვები შეელეწონ „ქართულ ოცნებას“, მერე კი, როცა მოედანი მოსუფთავდება, მიშაც ჩამოვა და პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩამობრძანდება.

„ნაცმოძრაობის“ ელიტის ერთი ჯგუფი თვლის, რომ ეს უსამართლობაა, ეს არასწორია, ეს შეურაცხმყოფელია.

— ჩვენ ვიბრძოლოთ, ჩვენ ვიომოთ, ჩვენ ჩავიგდოთ თავი საფრთხეში, მერე კი მოვიდეს საკაშვილი და მზა-მზარეულზე პრემიერ-მინისტრად დავჯდეს, ეგრე სად არი, ძმაო, — უთქვამს თურმე თავის ახლობლებში ნიკანორ მელიას და იქვე დაუყოლებია — თუ „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, პრემიერ-მინისტრი მე ვიქნები და არა საკაშვილიო.

გესმის, „გუბაზ-გულუბრყვილოვ“, რა ინტრიგები ტრიალებს „ნაცმოძრაობის“ კარზე, შენ კიდევ აიჩემე, მიშა ჩამოვიდესო.

გამჩენს მადლობა უთხარი, ერთი ალიყურით რომ გადარჩი და ნაწილ-ნაწილ ასაწყობი არ გამოგიტანეს „მამიდა როენას“, ანუ ნიკუტა გვარამიას მმაჩის ბიუროდან.

ეხ, „გუბაზ-გულუბრყვილოვ“, – რით ვერ გაიგე, რომ მიშა ჩამოალაბორანტეს და „ნაცმოძრაობას“ ახალი ლიდერი ჰყავს – ნიკანორ მელია! ძირს მიშა! გაუმარჯოს ნიკანორს!

ყარაბაღის ომი – ნაღმი, რომელზეც შეიძლება მთელი რეგიონი აფეთქდეს!

გვესაუბრება პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე

— ქალბატონო თამარ, რეგიონში საომარი კონფლიქტი გრძელდება. რა საფრთხეებს შეიცავს ის საქართველოსთვის?

— რა თქმა უნდა, ეს არის აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი, მაგრამ ამ კონფლიქტში ძალიან ბევრი აქტორია ჩართული და ყველას გარკვეული ინტერესები ამოძრავებს.

რაც შეეხება საქართველოს, ეს საომარი ესკალაცია ჩვენთან ძალიან ახლოს მიმდინარეობს, ორივე ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და მათთან, ცხადია, გარკვეული ურთიერთობა და ისტორიული წარსული გვაკავშირებს. ჩვენთან

მრავლად ცხოვრობენ, როგორც სომხები, ასევე აზერბაიჯანელებიც და ეს დამატებით საფრთხეებს ქმნის საქართველოსთვის.

დღესდღეობით, აზერბაიჯანული მხარის წარმატებები ყარაბაღის ომში, თვალნათელია.

საქმე ისაა, რომ ყარაბაღის სომხებს ოკუპირებული ჰქონდათ არა მარტო თვით ყარაბაღი, როგორც სომხები უწოდებენ, არცახი, არამედ ის შვიდი რაიონი, რომლებიც ყარაბაღის გარშემოა განლაგებული.

ე.წ. მადრიდის პრინციპები გულისხმობდა, რომ დაიწყებოდა საუბარი იმ შვიდი რაიონის შესახებ, მაგრამ სომხეთში ბოლო დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, „ფერადი რევოლუციის“ ტოლფას მოვლენებს ვგულისხმობ, როცა პრორუსული ხელისუფლება შეიცვალა, ხელისუფლებაში მოვიდა ფაშინიანი, კაცი, რომელიც, როგორც ამბობენ, სოროსის მიერ რეკომენდირებული პერსონაა.

ეს მომენტი, სხვათა შორის, კარგად გამოიყენეს აზერბაიჯანელებმა რუსეთთან ურთიერთობაში და თუ თვალს გადავავლებთ ალიევის მიერ მიცემულ ინტერვიუებს, თუ არ ვცდები სოლოვიოვის გადაცემა „60 წუთში“ იყო, ცხადი ხდება, რომ პედალირება ხდება სწორედ იმაზე, რომ გარკვეული შეთანხმებები სომხეთის წინა ხელისუფლებასთან იყო მიღწეული, მაგრამ ფაშინიანის მოსვლასთან ერთად მოლაპარაკებების სამშვიდობო პროცესები შეფერხდა. იქვე რამდენიმეჯერ გაუსვა ხაზი ალიევმა სოროსის და სომხეთის ახლანდელი რევოლუციის მომენტებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ინტერვიუების ფონზე გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა პრეზიდენტი ალიევი, რომელიც საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია, მას კარგი განათლება აქვს მიღებული. სხვათა შორის, სოლივიოვმა აღნიშნა კიდევაც: **Это наша школа**-ო. ალიევი შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას. საუბრის დროსაც მეტად არგუმენტირებული და დამაჯერებელია. ის მშვენივრად საუბრობს ინგლისურადაც, მოკლედ, სიმპათიებს იმსახურებს.

— არსებობს თუ არა საფრთხეები ჩვენთვის და რა არის მოსალოდნელი კონფლიქტის ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაზრდის შემთხვევაში?

— საქართველომ სწორი პოზიცია დაიჭირა, როცა აკრძალა ჩვენს ტერიტორიაზე სამხედრო ტვითების გატარება, თუმცა სომხების დიდი გულისწყრომა მოჰყვა ჩვენს ამ ნაბიჯს.

სომხური წარმოშობის რუსეთში მოღვაწე რეჟისორმა შაჰნაზაროვმა თქვა კიდევაც საყვედურით: **Мимино то оказался не соколом**-ო, მაგრამ ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვა გრძელდება.

აზერბაიჯანთან დამოკიდებულებაში თითქოს გაურკვეველი ვითარება შეიქმნა გარეჯის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ აზერბაიჯანმა, როგორც მეგობარმა სახელმწიფომ, პოზიტიური პოზიცია დაიკავა და ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება საქართველოსთვის.

საერთოდაც, მთელ მსოფლიოში დღეს არასტაბილური ვითარებაა. ეს ხელსაყრელი სიტუაცია შეარჩია სწორედ აზერბაიჯანმა.

რაც შეეხება რუსეთს, მას მიაჩნია, რომ კავკასია არის უშუალოდ მისი გავლენის სფერო და არ სურს აქ თურქეთის, როგორც აქტორის შემოყვანა.

თურქეთი არც მინსკის ჯგუფშია, მაგრამ დიდი სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს ამ დაპირისპირებაში, როგორც მედიატორმა.

ჯერჯერობით არ ჩანს რუსეთ-თურქეთის ღია დაპირისპირება რეგიონში, თუმცა მათ აქვთ წინააღმდეგობები სირიაში და ლიბიაში. რაც შეეხება კავკასიაში შექმნილ დაპირისპირებას, აქ ღიად ჩართვას არ ჩქარობენ, ამას მოწმობს პუტინის განცხადება, როცა თქვა მან, რომ არსებობს გადაუწყვეტელი საკითხები, მაგრამ ეს არ არის ისეთი პრობლემური, მოუგვარებელი რომ იყოსო.

ამ წინააღმდეგობაში მინდა ირანის როლზეც ვისაუბროთ.

ირანის მესამედი, დაახლოებით, არის აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობა. ჰომენეიც აზერბაიჯანული წარმოშობისაა, მანვე გააკეთა განცხადება, რომ მხარს უჭერს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰომენეის ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს სომხებთან და სომხური წარმოშობის გარკვეული პირები უპირატესობებითა და პრეფერენციებითაც სარგებლობენ. მათ ირანის პარლამენტში თავიანთი ქვოტა აქვთ.

— არც აზერბაიჯანია ჩვენსავით „უნათესაო“, მაგრამ ყველგან ჰყოლიათ სომხებს დასაყრდენები.

— სომხეთი ცუდ მდგომარეობაშია, რადგან ის, ფაქტობრი-

ვად, არის ჩაკეტილი ტერიტორია, რომელსაც გასასვლელი აქვს საქართველოს და ირანის გზით, ამიტომ, რაც უნდა იყოს, მათი გეოგრაფიული მდებარეობა არცთუ ისე სახარბიელოა.

— ჯავახეთის სომხების სეპარტისტული ნაწილი უკმაყოფილოა, რომ საქართველომ არ გაუშვა ისინი საზღვარზე აზერბაიჯანის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— მე მესმის ქართული მხარის და სწორია ეს პოზიცია, რადგან, უნებლიეთ, შეიძლება, აღმოვჩნდეთ ჩათრეული ამ კონფლიქტში. ჩვენთვის ყველაზე კარგი გამოსავალია სამშვიდობო პოზიცია და ის, რომ არ გამოვკვეთოთ სიმპათიები რომელიმე მხარისადმი.

— სამცხე-ჯავახეთიდან ბოევიკები მაინც წავიდნენ, ცხადია, არ ვიცით, რა გზით და როგორ და გამოქვეყნდა კიდევაც სია ამ ომში დაღუპული საქართველოს მოქალაქეების.

— სამწუხაროა, რომ, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა ყველა საზღვრის გაკონტროლება.

— გავრცელდა ფოტოები, ვაჰაგან ჩახალიანის ფეისბუკ-გვერდიდან, სადაც ის, იარაღასხმული, ჯავახეთის სომხური ეროვნების მებრძოლებთან ერთად მიემგზავრება საბრძოლველად და იქვე წერია ფოტოს ქვეშ: ჩვენ უკან დავბრუნდებით შეიარაღებულნი, ჩვენს ძმებთან ერთადო.

— ბუნებრივია, ორივე მხარე ფიქრობს, რომ თავის სასარგებლოდ იმოქმედოს და ყველა საშუალება გამოიყენოს.

გასათვალისწინებელია, რომ არსებობს საინფორმაციო ომებიც და ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ ან აქეთ მხარეს არ ჩაებას, ან — იქით, მით უფრო, რომ ბევრს სურს საქართველო ჩართული იქნას ამ ომში, რომ რეგიონში გლობალური არეულობა წარმოიქმნას.

P.S ეს ინტერვიუ 9 ოქტომბერს ჩავწერეთ და ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ქალბატონი თამარ კიკნაძის შეფასებები, საერთო ჯამში, საინტერესოა სიტუაციის სრულად აღქმისთვის ამ კონფლიქტთან მიმართებაში, იმის მიუხედავად, რომ 10 ნოემბერს ყარაბაღის კონფლიქტი დასრულდა.

სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა თანამემამულეებს თავად განუცხადა მარცხის შესახებ თავისი ფეისბუკ-გვერდიდან. ის აცხადებდა, რომ აზერბაიჯანთან და რუსეთთან ერთად ყარაბაღის ომის დასრულების შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამ განცხადებას სომხეთის მოსახლეობა დიდი პროტესტით შეხვდა — შეურაცხყოფილი სომხები ჯერ სახელმწიფო კანცელარიაში, მერე კი პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ და უმაღლესი თანამდებობის პირებიც კი სცემეს. ისინი გაჰყვიროდნენ, რომ ფაშინიანის ამ გადაწყვეტილებას არ შეეგუებოდნენ. ამ დრომდე არეულობაა სომხეთის დედაქალაქში, თუმცა პრემიერ-მინისტრი მთელი ღამე მოუწოდებდა მოსახლეობას დაშლილიყვნენ...

შეთანხმება, რომელმაც კიდევ მეტად დაამძიმა სომხების სიმშვიდე, 9-პუნქტიანია.

სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ხელმძღვანელობების შეთანხმების მიხედვით, სრულად შეწყდა საომარი ესკალაცია.

2020 წლის 20 ნოემბრამდე აღდამის რაიონი და სომხეთის მიერ ყაზახის რაიონში დაკავებული აზერბაიჯანული ტერიტორიები აზერბაიჯანს უბრუნდება. მთიანი ყარაბაღის ხაზისა და ლაჩინის ტერიტორიებზე რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი განთავსდება.

შეთანხმების მიხედვით, სომხეთი აზერბაიჯანს დაუბრუნებს კელბაჯარის რაიონს, ლაჩინის დერეფანს კი სომხეთი დაიტოვებს, როგორც მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის კავშირის ადგილს. აზერბაიჯანი ლაჩინის დერეფანში სომხეთის სატვირთოების მშვიდობიან გადაადგილებას უზრუნველყოფს.

მიმდებარე სივრცე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კონტროლქვეშ მოექცევა.

ალექსანდრე რონდელის ფონდის მკვლევარის ზურაბ ბატიაშვილის აზრით, „ომის ეს დასასრული ლოგიკური იყო, რადგან აშკარა გახლდათ აზერბაიჯანული მხარის უპირატესობა.

შუშის აღება კულმინაცია იყო.

ისეთი ხელშეკრულება დაიდო, რომელიც ხელს აძლევს აზერბაიჯანს.

სომხეთი ამ ხელშეკრულებით თმობს ტერიტორიებს ყარაბაღის გარშემო სრულად.

ეს სომხური მხარის კაპიტულაციაა.

ამ კონფლიქტში უბრძოლველად მოიგო რუსეთმაც. ის ბრუნდება აზერბაიჯანში, ლეგალურად. რუსეთი გააკონტროლებს დამაკავშირებელ გზას სომხეთიდან ყარაბაღისკენ, მასვე აქვს ფუნქცია კონტინენტური აზერბაიჯანის ნახჩევანთან დამაკავშირებელი გზის გახსნის და დაცვის.“

ასე რომ, რეგიონში, უკვე ოფიციალურად, რუსეთი ხდება მთავარი მოთამაშე, რაც სრულად ცვლის ურთიერთობებისა და პოლიტიკური მიმართულებების ბოლო დროს ჩამოყალიბებულ წესრიგს.

კოვიდ-ეპიდემიისა და შიდა არეულობების ფონზე საქართველოს ამ მიმართულებითაც მოუწევს სამეზობლო და, საერთოდ, საგარეო პოლიტიკის გონივრული გადახედვა, ისევ ჩვენი მომავლისთვის...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„მძინარე ჯოს“ მრისხანე გამოღვიძება



წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, ამერიკელ ექსპერტ-პოლიტოლოგები აშშ-ის პოლიტიკური მოწყობის ერთგვარ გამოცდად მიიჩნევდნენ. მათი განცხადებით, ქვეყანაში არსებული საარჩევნო სისტემა მოძველდა, უკვე არაეფექტური გახდა. ერთ-ერთ ხინჯად საფოსტო გზავნილებით ხმის მიცემა რჩება. სწორედ ამ პროცედურის გაუქმებას ითხოვდა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რისი ნებაც არ მისცეს დემოკრატმა კონგრესმენებმა სპიკერის ნენსი პელოსის მეთაურობით, რომლებმაც დაბლოკეს პრეზიდენტის ინიციატივა. წლევანდელ არჩევნებში ფოსტით თითქმის 80 მილიონმა ამომრჩეველმა ისარგებლა. თუმცა, ვისკონსის შტატში, მარტო ერთმა საფოსტო განყოფილებამ ერთბაშად 300 ათასი (!) ბიულეტენი დაკარგა! როგორ და რატომ იმის გარკვევა იურისტებმა დაიწყეს. უცნაური ფაქტია, ხმის მისაცემად ამომრჩეველს არ სჭირდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს გარემოება ხელს უწყობს არჩევნების გაყალბებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ექსპერტ-პოლიტოლოგები ამახვილებენ ამომრჩეველთა საბჭოს არსებობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობს და აკეთებს არჩევანს, პრეზიდენტის ვინაობას სწორედ ამომრჩეველთა საბჭო ასახელებს, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მოქმედებს. ამომრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა სულ 540-ია. გამარჯვებისთვის ნებისმიერ კანდიდატს მინიმუმ 270 ხმა სჭირდება. თუმცა, წარმოქმნილი დავის შემთხვევაში საქმეში უმაღლესი სასამართლოს კოლეგია ერთვება, რომლის ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ასე იყო მაგალითად ჯორჯ ბუშის (უმცროსის) და ელ გორის შორის გამარჯვება სასამართლომ ბუშს მიანიჭა 2000 წელს და ყოველივე ეს კი არჩევნებს გაუმჭვირვალეს ხდის. გამოდის აშშ-ი პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნებია, ამომრჩეველთა აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ. დონალდ ტრამპი სოციალური ქსელებით შეეხმიანა ამომრჩევლებს და გაიფრთხილა „დემოკრატები არჩევნების მოპარვას აპირებენ“. მალე სურათი შეიცვალა — მხოლოდ მიჩიგანის შტატში ტრამპს დათვლილი ხმების 81%. ჰქონდა, რაც არნახულ შედეგად ითვლება. ამ გარემოებამ ტრამპი ოპტიმისტურად განაწყო. თუმცა, საბოლოო გამარჯვება შტატში ჯო ბაიდენმა მოიპოვა. როგორ და რა გზებით უცნობია. დემოკრატების მტკიცებით, ფოსტით მიღებულმა ბიულეტენებმა გამოავლინა გამარჯვებული. განაწყენებული ტრამპის მხარდამჭერები საარჩევნო უბნებზეც შეიჭრნენ.

ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი აცხადებდა, რომ უკვე შეეძლოთ ტრამპის გამარჯვებულად გამოცხადება, მაგრამ პატივს სცემენ კანონს და ამომრჩევლებს, ამიტომ

დაელოდებოდნენ ხმების დათვლის პროცედურის დამთავრებას. თავად დონალდ ტრამპი ითხოვდა საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ დარიგებული ბიულეტენების გაუქმებას. „არავის მივცემთ არჩევნების მოპარვის უფლებას“ — ამბობდა დონალდ ტრამპი.

როდესაც ტრამპის უპირატესობა გამოკვეთა, თეთრი სახლის მახლობლად ბაიდენის მომხრეების აქცია დაიწყო. შავებში ჩაცმული სახედაფარული გაურკვეველი პირები აგრესიულად იქცეოდნენ, თავს ესხმოდნენ ჟურნალისტებს. პოლიციამ რამდენიმე მათგანი დააკავა. მახლობლად ტრამპის მხარდამჭერი აქციაც მიმდინარეობდა. აღნიშნული შაოსანი, აგრესიული ბრბო მათ თავს დაესხა, დაჭრილია 4 ადამიანი. აქციები, ტრამპის საწინააღმდეგოდ ნიუ-იორკშიც გაიმართა, სადაც ძირითადად სექსუალური თუ სხვა უმცირესობის წარმომადგენლები შავკანიანი მოქალაქეები მონაწილეობდნენ. კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ არჩევნები და ხმების დათვლის პროცედურა ომს შეადარა.

უცნაური ფაქტები დაფიქსირდა ხმების დათვლისას — ცალკეულ შტატებში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებს პროცედურაზე დასასწრებად უარს ეუბნებოდნენ. ამის გამო დონალდ ტრამპმა მოითხოვა ხმების დათვლის შეჩერება. პრეზიდენტმა ტელევიზიის პირდაპირ ეთერშიც განაცხადა, რომ მიმდინარეობდა არჩევნების გაყალბება. რამდენიმე არხის ხელმძღვანელმა იტყუებიო და ბოიკოტის ნიშნად გაუთიშეს ჩართვა. მსგავსი არსად და არასოდეს მომხდარა. ამიტომ უწოდა განვლილ არჩევნებს ტრამპმა თაღლითური.

ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე ამერიკულმა ტელევიზიებმა გამარჯვებულად ჯო ბაიდენი დაასახელეს, რასაც კანდიდატიც დაეთანხმა. დენოვერში მომხრეების წინაშე ჯო ბაიდენი როგორც უკვე პრეზიდენტი ისე წარსდგა. საინტერესოა, რომ „მძინარე ჯო“ (როგორც დონალდ ტრამპი უწოდებს) სცენაზე სირბილით, მკვირცხლად ავიდა. მხარდამჭერებს მადლობა გადაუხადა, ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელიო, განაცხადა. მისი თქმით: „... ყველას პრეზიდენტი ვიქნები, ნებისმიერის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის თუ რელიგიისა“. დონალდ ტრამპი ამ დროს გოლფის სათამაშოდ იყო. ბაიდენის გამოსვლამ კიდევ უფრო განაწყო საბრძოლველად. მისი თქმით არ დამშვიდდება, ვიდრე ამერიკელი ხალხი არ მიიღებს სამართლიან არჩევნებს. „... როდის აქეთ გახდა პრესის, ტელევიზიების გადასაწყვეტი თუ ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი“ — განაცხადა ტრამპმა. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის მეთაურმა უკვე მიულოცეს ჯო ბაიდენს გამარჯვება, თუმცა არჩევნების შედეგები აშშ-ი ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა. ირანის სულიერმა ლიდერმა აშშ-ის წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნებს „საცირკო სპექტაკლი“ უწოდა.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები გაოცებას ვეღარ მალავენ არჩევნების გაყალბების მასშტაბებით. უკვე წარმოადგინეს ფაქტებიც. ცალკეულ ოკრუგებში არათუ ამომრჩეველთა, მოსახლეობაზე გაცილებით მეტი ბიულეტენი აღმოაჩინეს. დააფიქსირეს ასევე 30–40 წლის წინ გარდაცვლილთა ხმები. დონალდ ტრამპის ადვოკატი რუდი ჯულიანის განცხადებით, 48 შტატში ტრამპი მნიშვნელოვნად უსწრებდა კონკურენტს. როგორ შეეძლო მას გამარჯვება იურისტისთვის გაუგებარია. ზოგიერთ შტატში გაუქმებული ბიულეტენები გადაყარეს, რომლებიც 10 წელი უნდა შეენახათ.

ექსპერტებისთვის გაუგებარია, როგორ გაიმარჯვა ბაიდენმა, როდესაც შიდა პარტიული პრაიმერისას ჩაფლავდა. ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი კამალა ჰარისი დებატებში ბაიდენს მიწასთან ასწორებდა უნიათო მოღვაწეობისთვის. ამერიკელ პოლიტოლოგებს აინტერესებთ, როგორ შეძლებს ასაკოვანი, უკვე 78 წლის ჯო ბაიდენი მსოფლიოს უდიდეს ქვეყნის მართვას. ასაკის გარდა დამაფიქრებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. ბაიდენს ხშირად უწყდება მახსოვრობა. ენაკვიმატმა მიმომხილველებმა გაიხსენეს და შეადარეს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლტბიუოს, სადაც მხოლოდ ასაკოვანი ხალხი იყო სათავეში. პოლიტოლოგების შეფასებით, დემოკრატიული პარტია საკადრო დეფიციტს განიცდის. სპიკერი ნენსი პელოსი 80 წლისაა, ერთ-ერთი კანდიდატი ბერნი სანდერსი 79-ის, ჰილარი კლინტონი 78-ის. ჯერ არავინ ჩანს ჰორიზონტზე ვინც ასაკოვან ლიდერებს ჩაანაცვლებს.

არჩევნები, აშშ-ი მართალია დამთავრდა, მაგრამ ხელისუფლებისთვის ბრძოლა გრძელდება. ბრძოლა ამჯერად სასამართლოში გაგრძელდება. რუდი ჯულიანის განცხადებით გაყალბების უამრავი ფაქტი აქვთ და ათეულობით მოწმეებიც არსებობენ. არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობის ნაწილი დაძახების შემთხვევაში მზად არის იარაღით დაიცვან ხმები. 1,5 მილიონმა ადამიანმა პეტიციით მიმართა ხელისუფლებას სამართლიანად დათვალონ ხმები. ამასვე მოუწოდებს დონალდის მეუღლე მელანია. ამომრჩეველთა საბჭო 14 დეკემბერს შეიკრიბება. თუმცა, მანამდე მშვიდობიანად მისვლაა საჭირო.



გია ბურდული
551 71 27 07

საქართველოს საზღვრების გასწვრივ ქართული სასაზღვრო სოფლები უნდა ავაშენოთ

თავის დროზე რატომ ჩავუგდეთ ხელში საქართველოს რუკების ბედი სხვა ეროვნების ადამიანს?

„დელიმიტაცია-დემარკაციის გარდა, საზღვარზე უამრავი სხვა პრობლემაცაა, თან არამარტო აღმოსავლეთ მიმართულებაზე. საქართველოს მთელს პერიმეტრზეა ძალიან ცუდი მდგომარეობა, მარტო მესაზღვრეები არიან დარჩენილი, საზღვრისპირა ზოლები მოსახლეობისგან დაცლილია, განსაკუთრებით კავკასიის მიმართულებაზე“, აცხადებს პროფესიონალი მესაზღვრე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, მაიორი **ამირან მელაშვილი**.

- ზოგან შეიძლება არც არის დაცლილი სოფლები, მაგრამ ქართული სოფლები საერთოდ არ გაგვაჩნია აღმოსავლეთში. ზუსტად ქართული სასაზღვრო სოფლების მშენებლობაზე მქონდა საუბარი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილესთან, პოლკოვნიკ გელა ხუციშვილთან, რომელიც ისტორიკოსიც გახლავთ. თუ დაინტერესდებით, შეგვიძლია ვისაუბროთ რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან საქართველოს საზღვრებზე. რაც შეეხება საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, ხუთი წლის წინანდელი



მონაცემები შემიძლია მოგაწოდოთ, მერე აღარ გადამიზუსტებია, რადგან სასაზღვრო უწყებიდან წამოვედი, რაც მთლად ჩემი სურვილით არ მომხდარა. თრუსოს ხეობიდან თუშეთამდე მონაკვეთზე სულ 50 ადამიანი ცხოვრობდა, ამ დროს რამხელა მანძილია ხომ დაშორება. საზღვარს იცავს ყაზბეგის სამმართველოს 120-კაციანი და ბარისახოს სამმართველოში 250 კაციანი შტატები. მოკლედ, იქ მესაზღვრეები მოსახლეობაზე მეტი არიან. ამ 50-დანაც ძირითადად, მოხუცები არიან დარჩენილი, თითო სოფელში თითო ადამიანი, რომლებიც უბრალოდ, მეუღლეების საფლავებს ვერ ტოვებენ. სასაზღვრო კი არა, სამეურნეო საქმიანობაც აღარ შეუძლიათ ამ მოხუცებს. სკოლაც არ იყო, ამიტომ ხალხი იძულებულია ბარისკენ გადასახლდეს. ქართული სოფლის მშენებლობის საქმეში დიდი ხარვეზებია დაშვებული, საზღვარზე უამრავ რაღაცაში იხარჯება ფული, მაგრამ საერთოდ არ იხარჯება ფული მოსახლეობის ადგილზე დამაგრებაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად ჩემს მოსაზრებას, მე არ ვარ ქსენოფობი, არცერთი ეროვნება არ მძულს, მაგრამ ჩვენი პრიორიტეტი მაინც ეთნიკურად ქართველების დასახლების მშენებლობა უნდა იყოს. ქართველების დამაგრება გვინდოდა საზღვრებზე. „წითელი ხიდის“ საზღვრის დაცვის სამმართველო დაახლოებით 400-კაციანი შტატითაა დაკომპლექტებული, თუ გამოვაკლებთ მმართველობას და ასე ვთქვათ, ტექნიკურ პერსონალს, 300 მესაზღვრეზე მეტი რჩება, რომლებიც გაშლილი არიან დაწყებული „წითელი ხიდიდან“ ირგანჩაიმდე. ეს მონაკვეთი მოიცავს გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონებს და ამ ტერიტორიებზე ქართველები ფაქტობრივად არ არიან.

გაჩნდა იდეა, რომ იქ ქართული სასაზღვრო სოფლები აგვეშენებინა. ერთი სოფელი იყო, სადაც ქართველებს ნახავდით, იქ მესაზღვრეებმა ჩვენი ძალებით შევიყვანეთ 8–9 ოჯახი. ეს ძალიან სერიოზული მიმართულებაა, იმიტომ, რომ სულ ბერძნებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. მე კონკრეტულად მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთზე გიყვებით, იქ შევიყვანეთ ქართული ოჯახები, თუმცა გაწეული პროპაგანდის მიუხედავად უკან გამოგვექცნენ, რადგან მიწები ვერ მივეცით, გლეხკაცს ცხადია, მიწა უნდა, აბა, ისე როგორ იარსებებს.

- ბატონო ამირან, რატომ არ მისცეს ამ ხალხს მიწა?

- იმიტომ არ მისცეს, რომ რატომღაც არ იყო ამის განწყობა. ვცდილობ, ნაციონალების მიმართ ნეიტრალური ვიყო, მაგრამ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს აირია ყველაფერი და არც მათი წასვლის შემდეგ შეცვლილა რაიმე სასიკეთოდ. შევარდნაძის მმართველობის დროს, ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე უფრო მეხმარებოდა. მარნეულის გამგებელი გოჩა ლორია იყო, პოლიციის უფროსი თენგიზ მიროტაძე, აი, ეს ხალხი გვეხმარებოდა ყველანაირად, რომ ხუჯაბის გარშემო ქართული სოფლები შეგვექმნა, ხშირად ვთათბიროდით ხოლმე რა და როგორ გაგვეკეთებინა.ე.წ. ვარდების რევოლუციით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, არაფრის ხსენება აღარ იყო, ნაციონალების მმართველობისას ფაქტობრივად, ხმას ვეღარ იღებდი, ამ თემაზე საუბარი ჭირდა. თანამოაზრეებს ვეღარ ვპოულობდი. დავუბრუნდეთ ოფრეთის თემას, იქ რამდენიმე კაცი ვიყავით, ერთერთია ბადრი შუბითიძე, ძალიან კარგი პიროვნება, ის ახლაც მუშაობს. მასთან ერთად რამდენიმე ოჯახი ავიყვანეთ. იყო იქ რამდენიმე გუნდი, რომლებსაც ვეხმარებოდით, ვაიმედებდით, რომ იქ დამაგრებულიყვნენ. ოფრეთში თავის დროზე ძირითადად ბერძნები ცხოვრობდნენ, ძალიან ბევრი ცარიელი სახლი იყო, რომლებსაც სარგებლობისთვის უფასოდ გვაძლევდნენ, შემდეგ შეგვეძლო გამოგვესყიდა. უბრალოდ, მიწების დაკანონება არ მოხდა და ქართველობა იძულებული გახდა წამოსულიყო. იმ სოფლებში სომხები და აზერბაიჯანელებიც ცხოვრობდნენ, ისინი დარჩნენ და მთის კანონის შეღავათებით მშვენივრად სარგებლობენ, არ იხდიან მიწის გადასახადს. ის კი არა, სომხეთის მოქალაქეებიც კარგად იყენებენ იქაურ მიწებს, გადმოდიან ზაფხულში, თიბავენ ბალახს, ადგილზე ყიდიან თივას და აქ ნაშოვნი სერიოზული ფულით სომხეთში ბრუნდებიან. რომელ მესაზღვრეს სცალია, რომ საზღვრის დამრღვევ ამდენ მთიბავს სდიოს. ერთი სიტყვით, ქართველების გარდა, ყველა სარგებლობს იქ ჩვენი მიწით. მე არ ვიცი ვის ინტერესში იყო, რომ საზღვრისპირა სოფლიდან ქართველები აეძულებინათ წამოსულიყვნენ.

თავადაც ხომ დარწმუნდით, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საზღვრისპირა ქართული სოფლების მშენებლობას, მე და ბევრი პატრიოტი, მათ შორის, მესაზღვრეები გამოსავალს აქ ვხედავთ. როგორც გითხარით, „წითელი ხიდის“ სასაზღვრო სამმართველოში 300–400-კაციანი შტატია, როგორ შეიძლება მათი გამოყენება? უნდა მოხდეს ჯანმრთელი ახალგაზრდების, საიმედო ოჯახების შერჩევა, რომლებსაც ან ქალაქში აღარ უნდათ ცხოვრება, ან ისეთ დასახლებებში ცხოვრობენ, სადაც ჭარბი მოსახლეობაა, მაგალითად მთიან აჭარასა და იმერეთში. გუბერნატორებთან უნდა შეთანხმებულიყო, არც ახლაა გვიან, რომ შეთანხმდეს, თავად სასაზღვრო სამსახური კი, სასაზღვრო სოფლების მშენებლობის პოლიტიკის განხორციელებით უნდა დაკავდეს. რაში გამოიხატება ჩვენი შევთავაზება — გავატარებთ ტრენინგებს, მოვამზადებთ იარაღის ფლობა-გამოყენებაში, ტაქტიკაში და ვუთხრათ, რომ მაგალითად სოფელ ახკერპში შეუძლიათ იცხოვრონ და იმუშაონ. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, იქ რამდენიმე სახლის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ ხელისფლების დამხობამ ეს პროცესი გააჩერა. ერთი პერიოდი ბერძნების ცარიელი სახლების შესყიდვა დაიწყო კიდეც, ეს სახლები ახლაც ცარიელია. შევთავაზოთ ამ ხალხს ახკერპში წასვლა, ახლა მესაზღვრე ოფიცრების ხელფასი დაახლოებით 1500 ლარამდეა, რიგითისა და სერჟანტების 1200 ლარი, მათ ვუთხრათ, რომ 1200 ლარს გადავუხდით. რამდენი უმუშევარი, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა გვყავს სოფლად, გინდაც ქალაქებში, შეგვეთავაზებინა მათთვის, რომ სასაზღვრო ზოლში ხუთ ჰექტარ მიწას მივცემდით, მის მეუღლესაც დავასაქმებდით. ამ ტერიტორიაზე ადამიანი მარტო სამეურნეო საქმიანობასაც რომ ეწევა, ხნავს, სთესავს, თიბავს, მაშინაც კი მესაზღვრე ხდება. ამ ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მის უკან სასაზღვრო პოლიცია, შსს და ზოგადად სახელმწიფო დგას. ჩვენც ისე უნდა გაგვეკეთებინა, როგორც ისრაელი იქცევა, ებრაელები ჭკვიანი ხალხია, განა ჩვენ არ გვაქვს ჭკუა, მაგრამ საქმისადმი ეროვნული მიდგომა გვაკლია. ამ კონკრეტულ ოჯახს თვეში დაახლოებით 2000 ლარი ხელფასი გამოუვიდოდა, თავისი სამეურნეო შემოსავლით 3000 და შეიძლება მეტიც, ეყოლებოდა პირუტყვი და ფრინველი. საკუთარ ოჯახს რომ არჩენდა ამ მოსავლით და გაყიდდა კიდეც.



ჩვენ სასაზღვრო სოფლების მშენებლობა 2000-იანი წლების დასაწყისში დავიწყეთ, ოფრეთში ცხრა ოჯახი რომ შევიყვანეთ, ეს ინფორმაცია უკვე ჰქონდა სომხეთის დაზვერვის სამსახურს, ჩვენებმა კი არაფერი იცოდნენ, ანუ ვინ და რატომ შევიყვანე თ. სომხეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ ძროხები უყიდა საზღვართან მცხოვრებ თავიანთ მოქალაქეებს, სხვა მხრივაც ეხმარებიან, ჩვენ კი მიწაც ვერ მივეცით ჩვენს ხალხს. რატომ არ გვინდა დავასახლოთ ხალხი საზღვრის მთელ პერიმეტრზე, არის ხომ სოფლის მეურნეობის გრანტები, რომელთა მართვაც შეიძლება, წავახალისოთ და მივცეთ ამ ხალხსაც. არის იაფიანი

კრედიტები, ხომ შეიძლებოდა ამ ხალხისთვის ესეც მიგვეცა შეღავათებით და გვექნებოდა ისეთი ტიპის დასახლებები, რომლებიც გაამაგრებდა ჩვენს საზღვარს.

საერთოდ, ამ თემაზე მავანთ რომ ელაპარაკები, დაგიწყებენ, საზღვრის დაცვას სხვანაირი ტაქტიკა ჭირდებაო. რომელი სხვანაირი? ყველაზე მაგარი ტაქტიკა ისაა, საზღვარზე შენიანი კაცი რომ გყავს ასე ვთქვათ, მეციხოვნედ. ხსენებული პროექტი რომ განხორციელებულიყო, გარდაბნის რაიონიდან მოყოლებული ასპინძამდე ფაქტობრივად, ერთი ქართული სოფელი რომ არ გაქვს საზღვარზე, 400 ოჯახს თუ ჩაასახლებდი ამ ტერიტორიაზე, დავით აღმაშენებლის რეფორმის დარი რეფორმა გამოგივიდოდა, მაგრამ ამის მოსმენა არავის უნდა. სამწუხაროდ, აღარ არის ამის მომსმენი ხალხი.

ძალიან კარგია გარეჯის თემა

სახელმწიფო დონეზე რომ წამოიწია, მივესალმები ამ ყველაფერს. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებმა, დაკარგული იმედი გამიცოცხლა. ვერ წარმოიდგენთ როგორ გამიხარდა, რომ არის კიდევ ხალხი, რომელსაც გული შესტკივა საზღვარზე და მუშაობს ამ თემებზე.

მესაზღვრე ოფიცრების მომზადების კუთხით, ყველაზე მაღალი დონის სასწავლებელი გენშტაბის აკადემიაა, შესაბამისად, მაღალი დონის მომზადების კადრები ის ხალხია, ვინც რუსეთსა და უკრაინაში დაამთავრეს ეს სასწავლებლები. მაგალითად, მე, გელა ხუციშვილი, სერგო გუმბერიძე, მინდია არაბული, ზაზა ოთანაძე, ბესო ზურაბიშვილი უკრაინაში ვსწავლობდით. აი, ამ აკადემიებდამთავრებული მაღალი დონის კადრები, არცერთი აღარ მუშაობს სასაზღვრო უწყებაში. ვისი პოლიტიკა იყო, ვის ინტერესში შედიოდა და რატომ ამ ხალხის სამსახურიდან გაშვება, ვერ მოგახსენებთ. ნაციონალების მმართველობისას როგორ გაუშვეს სამსახურიდან ხვიჩა დვალიშვილი, დიდი პროფესიონალი და ძალზე კარგი პიროვნება, ეს შემიძლია გითხრათ. ბატონი ხვიჩა თბილისის აეროპორტის უფროსი. გეხსომებათ ბორის ბერეზოვსკი რომ ჩამოვიდა საქართველოში, ცხადია თვითმფრინავით და აეროპორტის გავლით. ბერეზოვსკი ვიღაცის ნებით შემოვიდა ხომ, მაშინდელმა ხელისუფლებამ ვითომ არ იცოდა ეს, მაგრამ ხვიჩა დვალიშვილი გაათავისუფლეს სამსახურიდან და აღარც აღუდგენიათ.

ამირან მელაშვილმა შეიძლება არ იცის, ან იცის და არ თქვა, მაგრამ სხვა არანაკლებ კომპეტენტურმა წყარომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ საზღვრის დაცვის პოლიციაში პროფესიონალებს ბოლო „პაგრომი“, ჩვენი „ფრიად „გაწონასწორებული“ პრემიერ-ყოფილი გიორგი კვირიკაშვილის ნათლიმირონმა გიორგი მღებრიშვილმა მოუწყოო. სხვათა შორის, ეს ბატონი შს მინისტრობამდე ქვემო ქართლის გუბერნატორი გახლდათ. მღებრიშვილმა ერთი ბრძანებით, 41 გამოცდილი სპეციალისტი გაუშვა საზღვრის დაცვის უწყებიდანო. ყველა მათგანს სასამართლოს მეშვეობით აღუდგენია სამსახურში და სახელმწიფო განაცდურის კომპენსაციასაც უხდისო. მე რომ მკითხოთ, ამ განაცდურის გადახდა, მღებრიშვილისა და მისი გამმინისრტებელ კვირიკაშვილისთვის უნდა დაეკისრებინათ. ეს პრეცენდენტი იქნებოდა, რომ ჩინოვნიკებს ხელი აღარ წაუცდეთ ასეთი გაუაზრებელი „ღონისძიებისკენ“.

ამირან მელაშვილი: სამაგიეროდ დარჩა კარტოგრაფი ილიჩოვა, რომელთანაც უშუალო სამსახურებრივი შეხება მქონდა 2004 წელს, როცა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ვმუშაობდი. ილიჩოვა ნამდვილად მეუღლის გვარია და მეც ასე ვიცი, რომ ეს ქალბატონი სომეხია. მე დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიის სხდომებს არ დავსწრებივარ და ცოდვას ვერ ჩავიდენ, რომ ამ ქალბატონს რაიმე დავაბრალო, რაც არ ვიცი, მაგრამ ჩემი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები სხვა ეროვნების ადამიანს რომ ებარა, ძალიან არ მომწონდა. მმართველი პარტიის ერთ-ერთ დეპუტატს (მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ) ვთხოვე, რომ ირაკლი სესიაშვილისთვის მიეწოდებინა ეს ინფორმაცია და ისიც ეთქვა, რომ მე ამ ქალის სამსახურიდან გაშვებას კი არ მოვუწოდებდი, უბრალოდ რუკებისთვის ჩამოეცილებინათ სხვა ალტერნატიული სამსახური შეეთავაზებინათ ამავე უწყებაში, რაც საკმაოდ იყო. ჩემი მიმართვა ამ ხალხის „რჩეულის“ მიმართ, დარჩა ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა. ფაქტია, შედეგი არ მოყოლია, დიდი ალბათობით, არც მივიდა ეს ინფორმაცია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ყურამდე. არადა რატომაა მნიშვნელოვანი, რომ არ ებაროს სახელმწიფოს ინტერესების შემცველი დოკუმენტაცია, სხვა ეთნოსის წარმომადგენელს — სომხეთთან საზღვრის მიმდებარე სოფელი ოფრეთი ვახსენე, რომელ მონაკვეთზეც სადავო ტერიტორიები გვაქვს. დაახლოებით 66.000 ჰექტარია ლორეს მხარე, რომელიც სომხეთისთვისაა გადაცემული 30-იან წლებში, მაგ ტერიტორიაზეა ალავერდი და სხვა მიმდებარე სოფლები. ამ დოკუმენტებზე წვდომა არ მქონია, მაგრამ დეპარტამენტში სომხეთის მიმართულებაზე როცა ვმუშაობდი, მომისმენია საუბრები, ეს დაუზუსტებელი ინფორმაციაა, რომ 30-იან წლებში არსებობდა დოკუმენტი, მისი ნომერი ზუსტად არ ვიცი, რადგან ეს დოკუმენტი არ მინახავს, რომ ის 66.000 ჰა სომხეთს დროებით, ტყით სარგებლობისთვის გადაეცა. ამ დოკუმენტს კონკრეტული ვადა 1941 წლამდე ჰქონდა თუ 1972 წლამდე ვერ გეტყვით, ხალხი ამბობდა, რომ დროებით იყო გადაცემული. მერე ქართულმა მხარემ ვერსად ვიპოვეთ ეს დოკუმენტი, დაიკარგა, არ ჩანს. სომხური მხარე ცხადია, არ გამოგიჩენს, იმას გეტყვის ეს მიწა შენიაო? როცა კარტოგრაფიაში მუშაობს სომეხი, ან სხვა ეროვნება და სომეხის მეუღლე, მას ხომ შეიძლება ცდუნება ჰქონდეს, რომ სომხეთს გადასცეს ეს რუკა იქნება თუ სხვა დოკუმენტი, ან სულაც დახიოს და გადაყაროს. ამიტომ ვამბობ, გადაეყვანათ ილიჩოვა სხვა სამსახურში, მაინც და მაინც მთელი საქართველოს რუკები უნდა ჩაებარებინათ მისთვის? აი, ეს არის მთელი ჩვენი საკადრო პოლიტიკა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ირაკლი კობახიძის განცხადება

„ჩვენ რა თქმა უნდა თითოეული ამ ადამიანის მიმართ გამოვხატავთ ჩვენს პატივისცემას, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, თუმცა როდესაც პოლიტიკური პარტიები აპროტესტებენ არჩევნების შედეგებს, იქ აქციაზე ადამიანების რაოდენობას ბუნებრივია გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ადამიანების რაოდენობის დაფიქსირება მნიშვნელოვანია და შესაბამისად დღევანდელმა დღემ და აქციამ დაადასტურა ის, რომ ქართველი ხალხი არა მხოლოდ აღიარებს, არამედ იწონებს კიდეც არჩევნების შედეგებს.

ქართველ ხალხს უნდა ჯანსაღი ადამიანები პოლიტიკაში და არა ისეთები, როგორებიც დღეს გამოდიოდნენ, მაგალითად ტრიბუნიდან - ქართველ ხალხს უნდა მშვიდობა, სტაბილურობა, წინსვლა და განვითარება, ეს რაც შეეხებოდა აქციას.

რაც შეეხება ოპოზიციასთან კომუნიკაციას, რაზეც აქციაზე გაკეთდა განცხადება - აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნიკანორ მელიამ თქვა ტყუილი, რაც მას ზოგადად ახასიათებს და რაც არ არის კაცისთვის შესაქები საქციელი.

მან თქვა, რომ თითქოს ჩვენ დავუკავშირდით ოპოზიციის წარმომადგენლებს, რაც არის კიდევ ერთხელ გავიმეორებ წმინდა წყლის სიცრუე. ჩვენ დაგვიკავშირდა, მე და არჩილ თალაკვაძეს ქალბატონი თინა ბოკუჩავა, ჩვენ ვუპასუხეთ მას, ის არის პარლამენტის წევრი და კომუნიკაციის შინაარსი იყო შემდეგი - მან გვთხოვა დღეს შეხვედრა არჩევნების თემასთან დაკავშირებით, ასევე განგვიმარტა სავარაუდო ფორმატი ამ შეხვედრის, რაზეც ჩვენ მას განვუმარტეთ შემდეგი, რომ ჩვენი ინფორმაციით, ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს სურდათ შეხვედრის ორგანიზება მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ყოველთვის ანგარიშს ვუწევთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრებებს, მათ წინადადებებს და ვთქვით, რომ დაველოდებოდით მათ პოზიციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ინიციატივა დღეს ბუნებრივია არანაირი შეხვედრის გამართვა არ ყოფილა — განაცხადა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ.

ნიკოლოზ მჭედლიშვილი მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე: ესაა რევოლუციური სცენარი

ექსპერტი ნიკოლოზ მჭედლიშვილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გუშინდელ განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ექსპრეზიდენტის ეს განცხადება, ისევე, როგორც მისი არაერთი სხვა განცხადება, რევოლუციური სცენარის გამომხატველია.

„თავისდა საზიანოდ, ის საოცრად გულახდილია ხოლმე ანუ, რასაც აპირებდა ან აპირებს, ამაზე ღიად ლაპარაკობს. ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა გუშინ განაცხადა, არაა გამონაკლისი. ესაა ჩვეულებრივი, რევოლუციური სცენარი. მოყვა ამ ისტორიისა და ამ სცენარის განხორციელება, უკვე თბილისში უნდოდა“ - განაცხადა ნიკოლოზ მჭედლიშვილმა.

გუშინ, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, სერბეთში, სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ მიმართულ გადატრიალებასა და საქართველოს საპროტესტო ტალღას შორის პარალელი გაავლო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სააკაშვილმა საკუთარი გეგმის შესახებ სათქმელი ირიბად, სწორედ ამ მიმართვით თქვა.

„ღია ტექსტით გელაპარაკებით. მათ შეუძლიათ ერთ ადგილზე კონცენტრაცია, გუშინ რაც მოხდა ცესკო-სთან სწორი იყო, რომ ლიდერებმა თავი აარიდეს ცესკო-სთან შეტაკებას. იქ იყო შეყრილი 800-900 ჩაფხუტიანი კოსმონავტი პატარა ტერიტორიაზე და ეს არის მათი ძირითადი ძალა. მათ ეშინოდათ, როგორც სერბეთში გააკეთა თავის დროზე ხალხმა, ხალხი მივიდოდა, გამოიტანდა ამ გაყალბებულ ბიულეტენებს და გადაყრიდა, მილოშევიჩი თავის დროზე ასე დაამარცხეს. ეტყობა ივანიშვილს ეს ვიღაცამ მოუყვა და ამიტომ გაამაგრა ცესკო. ჩვენ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, ჩვენ უნდა გავუხსნათ მათ ბევრი ფრონტი. ჩვენ გვაქვს ყველა ამ პოლიციელის პირადი ტელეფონი, ბევრმა თქვენგანმა იცის, სად ცხოვრობენ, ჩვენ უნდა მივიდეთ მათ სახლებთან, ველაპარაკოთ მათ მშობლებს, უნდა გავუკეთოთ წარწერები — აქ ცხოვრობს, რატომ დამიჭირე, რატომ მცემე, რატომ მჩაგრავ, რატომ ემსახურები საქართველოს მტერს“ - თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

®

„რკინის“ ალქაჯი

მარგარეტ ტეტჩერი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე არავის ინდობდა

2013 წლის აპრილის ერთ საღამოს ბრიტანეთის ქალაქების ქუჩებში ასეულობით ადამიანი გამოვიდა, ისინი არ მალავდნენ თავიანთ შესანიშნავ განწყობას, ულოცავდნენ ერთმანეთს და შამპანურს სვამდნენ...

„მარგარეტ ტეტჩერი გარდაიცვალა“. დღესასწაულის მიზეზი იმ ადამიანის გარდაცვალება გახდა, რომელსაც არა მარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობდნენ. ლონდონის ქუჩებში გამოსულ ხალხს პარლამენტის წევრი ბრეფორდ ჯორჯ ჰელოუეიც შეუერთდა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ტეტჩერი მანდელას ტერორისტად თვლიდა და ის ჯოჯოხეთში უნდა იწვოდეს. გარდაცვლილის სხეულს სპეციალური დაცვა დაუნიშნეს, რომ მისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ.

1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეტჩერის გენიალობაზე ხშირად საუბარობდნენ, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების ეკონომიკა ულტრალიბერალურ მოდელზე გადაიყვანეს, სოციალისტური ბლოკი უკან ჩამოიტოვეს და ორი სისტემის ბრძოლაში გაიმარჯვეს.

მებაყლისა და მკერავის ქალიშვილი. უცნაურია, მაგრამ ის ადამიანი, ვისაც მოგვიანებით ბრიტანელები „ალქაჯად“ და „მშრომელი ხალხის მჩაგვრელად“ მოიხსენიებდნენ, სულაც არ გახლდათ არისტოკრატთა შთამომავალი.

მარგარეტ რობერტსი 1925 წლის 13 ოქტომბერს გრანტებში, ლინკოლნშირის საგრაფოში დაიბადა. მამამისს საბაყლო ჰქონდა, დედა კი მკერავი გახლდათ. მომავალი პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი ბაბუა ფეხსაცმელებს კერავდა, მეორე კი რკინიგზაზე მეისრედ მუშაობდა. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონამ სტიპენდია მიიღო კესტევენისა და გრენტემის გოგონების სკოლაში სწავლისთვის. მარგარეტმა იცოდა, რომ ცხოვრებაში არავისი იმედი არ უნდა ჰქონოდა, ამიტომ კარგად სწავლობდა, დაკავებული იყო სპორტით და პოეზიის წრეზე დადიოდა.

მიუხედავად ამისა, ოქსფორდის უნივერსიტეტის სომერვილის კოლეჯის სტიპენდია ვერ მოიპოვა. მაგრამ წარმატება მარგარეტის მხარეს იყო — ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, ვისაც სტიპენდია დაუმტკიცდა, სწავლაზე უარი განაცხადა და მისი ადგილი მარგარეტს ერგო.

1944 წელს მარგარეტმა წაიკითხა ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის წიგნი „გზა მონობისკენ“. ავტორი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის რეგულირებას უცილობლად მივყავართ დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვებისა და ტოტალიტარიზმისკენ. ჰაიეკის შრომები, რომელსაც 1970-იან წლებში ნობელის პრემია მიენიჭა, დღეს ფრიად სკეპტიკურად აღიქმება. მისი მოდელის ჩავარდნამ ლათინური ამერიკისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საეჭვო გახადა მისთვის ნობელის პრემიის მინიჭების სისწორე.

„რძის ქურდი“. მარგარეტი კონსერვატორების რიგებში ჯერ კიდევ ოქსფორდში შევიდა. უნივერსიტეტის შემდეგ აქტიურად ჩაერთო პარტიულ ცხოვრებაში და ერთ-ერთ სადილზე ბიზნესმენი დენის ტეტჩერი გაიცნო. განქორწინებული და უზრუნველყოფილი მამაკაცი მალე მარგარეტის ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

1950 წლის თებერვლისა და 1951 წლის ოქტომბრის არჩევნებზე მარგარეტმა დარტფორდის ოლქიდან პარლამენტის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, სადაც ტრადიციულად ლეიბორისტები იმარჯვებდნენ. მან ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მოწინაალმდეგეს 700 ხმა წაართვა, რაც დიდი წარმატება იყო. ამის შემდეგ დენისს გაჰყვა ცოლად და ის გვარი მიიღო, რომლითაც მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

1959 წლის არჩევნებზე მან თემთა პალატაში მოიპოვა ადგილი, რომელიც პოლიტიკური კარიერის ბოლომდე არ დაუთმია.

პოლიტიკური მოწინააღმდეგეები მის მიმართ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას განიცდიდნენ. სიმულვილი მოგვიანებით, 1970-იან წლებში მოვიდა, როცა ედვარდ ჰიტის კაბინეტში ის მეცნიერებისა და განათლების მინისტრი გახდა.

ამ პოსტზე ყოფნისას ტეტჩერმა შეამცირა სახელმწიფო სკოლების ხარჯები, გააუქმა შვიდიდან თერთმეტ წლამდე მოსწავლეებისთვის უფასოდ რძის გაცემა. „მადლიერმა“ ბრიტანელებმა მეგის პირველი ხმამაღალი ზედმეტსახელი შეურჩიეს — „რძის ქურდი“. სიკვდილის შემდეგაც მის სახლთან მიჰქონდათ რძის ბოთლები — მის მიერ განხორციელებული „ცვლილებების“ გამო.

„ღარიბებისთვის ფულის მიცემა არ შეიძლება“. 1979 წელს ბრიტანეთის ისტორიაში პირველი ქალი-პრემიერი იწყებს ცხოვრებაში თავისი ეკონომიკური პოსტულატების განხორციელებას: „რკინის ლედიმ“ ათვლის წერტილად მონეტარიზმის იდეა გამოიყენა, ის სულ ყბადაღებულ „ბაზრის უხილავ ხელზე“ ლაპარაკობდა, რომელიც „თვითონ დაარეგულირებს ყველაფერს“. პოლიტიკის ლოგიკა, რომელსაც მოგვიანებით „ტეტჩერიზმი“ ეწოდა, შემდეგი იყო: „ღარიბებისთვის არ შეიძლება ფულის მიცემა. ისინი ყველაფერს დახარჯავენ. ფული მდიდრებს უნდა მისცე, რომლებიც ინვესტირებას განახორციელებენ, რის შემდეგ თანხები ღარიბებამდეც „მიაღწევს“.

გამარჯვების მომტანი პატარა ომი. 1983 წლის არჩევნებზე კონსერვატორებისთვის ხმის მიცემას არავინ აპირებდა. ტეტჩერის მიერ მოწყობილ სოციალურ დარბევას მისი კარიერისთვის წერტილი უნდა დაესვა. პრემიერის გადარჩენა მხოლოდ პატარა ომს შეეძლო, რომელსაც გამარჯვება უნდა მოეტანა.

1982 წლის 2 აპრილს არგენტინის სპეცდანიშნულების რაზმი ბრიტანეთის მიერ კონტროლირებადი ფოლკლენდის კუნძულებზე გადასხეს. არგენტინის სამხედრო ხუნტდა დარწმუნებული იყო, რომ ბრიტანეთი ქვეყნისგარეთა ტერიტორიებისთვის ბრძოლას ვერ შეძლებდა.

მაგრამ ტეტჩერმა უჩვენა, რომ ის ამაოდ როდია „რკინის ლედი“ — ფოლკლენდზე გაგზავნილმა ფლოტმა გაანადგურა არგენტინელები და უკვე 14 ივნისისთვის კუნძულებზე კონტროლი ბრიტანეთს დაუბრუნდა. პრესტიჟის დაბრუნების საფასური 250-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე და ასობით დაკარგული გემი და კატერი იყო.

რიგითმა ბრიტანელებმა აპატიეს ტეტჩერს სოციალური ექსპერიმენტები, მან დაიბრუნა წარსული პოპულარობა და არჩევნებში გაიმარჯვა.

ბრძოლა „შინაურ მტრებთან“. მას არ შეუცვლია საკუთარი ხაზი, პირიქით, ქვეყანა ლამის სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. 2014 წელს გამოქვეყნდა მისი სიტყვის შავი პირი, რომლითაც 30 წლით ადრე უნდა გამოსულიყო. ის გეგმავდა ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის ძირითადი მოღვაწეების მკაცრი კრიტიკით გამოსვლას, მათ შორის მათი მაშინდელი ლიდერის ნილ კინკოკის კრიტიკას. პრემიერის სიტყვაში იყო გამოთქმა „შინაური მტრები“. ტეტჩერი გეგმავდა ემხილებინა „დემოკრატიის დამანგრევლები, რომლებსაც ქვეყანა ანარქიისკენ მიჰყავდათ, რასაც უცილობლად მოჰყვებოდა ტირანია“.

ქვეყანაში მდგომარეობა იმ დროისთვის ძალიან დაძაბული იყო. შეიძლებოდა, ტეტჩერის გამოსვლას დაპირისპირება მწვავე ფაზაში გადაეყვანა. დაგეგმილ გამოსვლამდე 12 საათით ადრე „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ მიერ ორგანიზებული აფეთქება მოხდა ბრაიტონის „გრანდ ჰოტელში“, სადაც დაბინავებული იყვნენ ტეტჩერი და კონსერვატორების სხვა ლიდერები. დაიღუპა 5 ადამიანი, 31 კი დაიჭრა. ამის შემდეგ პრემიერმა თავიდან გადაწერა თავისი გამოსვლა და ლეიბორისტებზე სიტყვიერ თავდასხმაზე უარი თქვა.

სულადობის გადასახადი. „რკინის ლედის“ ე.წ. სულადობის გადასახადის დაწესება სურდა. იმ საცხოვრებლის ღირებულების პროპორციული გადასახადის ნაცვლად, რომელსაც იხდიდნენ, ინგლისელებს ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გადაეხადათ საურავი იმის გათვალისწინებით, რამდენი სრულწლოვანი ცხოვრობდა ბინაში.ე.ი. მარტოხელა მილარდერს, რომელიც 15-ოთახიან სახლში ცხოვრობდა, ერთოთახიან ბინაში მცხოვრები მრავალრიცხოვან ოჯახზე ნაკლები გადასახადის გადახდა უწევდა. 1989 წელს გადასახადის ეს ტიპი შეიტანეს შოტლანდიაში, 1990 წელს კი — ინგლისსა და უელსში.

თანაპარტიელებიც კი აფრთხილებდნენ ტეტჩერს, რომ ამჯერად ნამეტანი მოუვიდა, მაგრამ მეგი არ უსმენდა მათ. 1990 წლის 31 მარტს ლონდონში 70 ათასზე მეტი გამძვინვარებული ინგლისელი გამოვიდა სულადობის გადასახადის წინააღმდეგ. ტრაფალგარის მოედანზე ნამდვილი ქუჩის ბრძოლები გაიმართა ხალხსა და პოლიციას შორის, რის შედეგადაც ბევრი ადამიანი დაშავდა.

და მაშინ უკვე მის საკუთარ პარტიაში ფაქტობრივად გადატრიალება მოხდა, რომელიც რკინის ლედის გადაყენებას ისახავდა მიზნად. 1990 წლის 28 ნოემბერს ტეტჩერი მარტო აღმოჩნდა ყველას პირისპირ და იძულებული გახდა, პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წასულიყო. კონსერვატორების ახალმა ლიდერმა ჯონ მეიჯორმა უარი თქვა სულადობის გადასახადზე და 1992 წლის არჩევნებში გაიმარჯვა.

ალქაჯი გარდაიცვალა!.. გადადგომის შემდეგ ტეტჩერი სულაც არ შეცვლილა — ის მოუწოდებდა სამხედრო ძალის გამოყენებისკენ სერბების წინააღმდეგ ბოსნიის ომში, პროტესტს გამოთქვამდა ესპანეთის სამართალდამცველების მიერ ჩილეს ექს-დიქტატორის აუგუსტო პინოჩეტის დაპატიმრების გამო და მოითხოვდა სადამ ჰუსეინის ჩამოგდებას.

2004 წელს რკინის ლედის ვაჟი, მარკი ეკვატორულ გვინეაში გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს. გადატრიალების სპონსორები ვარაუდობდნენ, ახალი ხელისუფლებისგან ნავთობის მოპოვების შეღავათიანი პირობებით უფლებას მიიღებდნენ. მარკი მხოლოდ დედის დახმარებით გადარჩა — მას მხოლოდ ჯარიმა გადაახდევინეს და პირობითი სასჯელი აკმარეს.

ცხოვრების ბოლო წლებში მარგარეტ ტეტჩერს პროგრესირებადი დიმენცია ჰქონდა. ამის გამო თავის 85 წლის იუბილესაც ვერ დაესწრო...

ცხოვრების ბოლო თვეებში ის თითქმის სულ საავადმყოფოში იყო. 2013 წლის 8 აპრილს ტეტჩერი ინსულტის შედეგად გარდაიცვალა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983